საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ტაქტიკებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 1 აპრილი. 2024 წ. №38-39 (9718-9719) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

31.III.1991

აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!



პატრიარქი საყოველთაო რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს გვილოცავს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გუშინ საყოველთაო რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე მოგვილოცა.

„დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან 33 წლის წინ, 31 მარტს, საყოველთაო რეფერენდუმის (მათ შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩატარებულის) საფუძველზე მოხდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტის მიღება.

საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა სწორედ ამ მოვლენებს ეყრდნობა, რაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, მაშინდელი უზენაესი საბჭოს, ჩვენი ერისა და, საერთოდ, საქართველოს მთელი მოსახლეობის დამსახურებაა.

გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

გილოცავთ მატონ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მის უკვდავ სულს“.

იხ. 2-3 გვ.

ზვიად გამსახურდია - 85

კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდია

...ესკალაციის წასვლა დროებითი დასრულებისკენ

სამაგალითონი

მიხეილ კაკაბაძე - 85

5

ქართული გეოლოგიური სკოლა მან მსოფლიოში წარმოაჩინა

აღიარებული მეცნიერი

7

გურამ პაპუნიძე - 80

„ჯერ ისევე ჭარმაგია, თუმც არ არის კი მცირე ხნის“...



9

ცეზარ ლაშხი - 85

თეიმურაზ ქორიძე: წაიკითხეთ კანონი, ძვირფასო ადვოკატებო!

4

6

ივანიშვილი ბაჩიაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას სასამართლოზე მისცემს!

ზვიად გამსახურდია დაცვის წევრებთან ერთად „ბუნკერში“. თბილისი, 1991 წლის 28 დეკემბერი

...ესკალაციის წასვლა დროებითი დასრულებისკენ

...კიტოვანის შეიარაღებულმა ფორმირებამ 3 ოქტომბერს დატოვა ქალაქის ცენტრი და გადაინაცვლა თბილისის ზღვაზე, რაც, პრინციპში, არ ნიშნავდა შეთანხმების შესრულებას, რამდენადაც თბილისის ზღვა დედაქალაქის ტერიტორიაზეა. ადგილი, სადაც ისინი დაგანაკდნენ, სულ რაღაც, სამი კილომეტრით იყო დაშორებული რუსული სამხედრო გაზიდან მახათას მთაზე. როგორც ჩანს, ადგილის შერჩევა დაკავშირებული იყო აღნიშნული სამხედრო გაზის მდებარეობასთან.

მომდევნო დილას, 10 საათზე, კიტოვანელების წარმომადგენლებმა ოპოზიციას აუწყეს, რომ მათზე განხორციელდა „ომონისა“ და მილიციის მხრიდან თავდასხმა, თავდამსხმელთა შორის თითქოს იმყოფებოდნენ ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან ჩამოსული შეიარაღებული პირები. სროლის შედეგად ორივე მხრიდან იყვნენ დაჭრილები. ოპოზიციის წარმომადგენლები მთელი დღე მოუწოდებდნენ თბილისელებს ასულიყვნენ თბილისის ზღვაზე და დაეცვათ იქ დაგანაკებული ოპოზიცია. საღამოს განცხადება გააკეთა ახალდანიშნულმა კომენდანტმა ჯემალ ქუთათელაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სიმართლეს არ შეესაბამებოდა არც სამოცი გვარდიელის დახვრეტის ფაქტი, არც ჩეჩნებისა და ინგუშების ჩართულობა მილიციისა და ეროვნული გვარდიის მხარდამხარ.

ყველაზე მართებული დასკვნა კიტოვანის შეიარაღებული რაზმის დისლოკაციის შეცვლაზე გაკეთებული აქვს დავით გამცემლიძეს. იგი თვლის, რომ ალყისას, რომელსაც ვახტანგ ქობალიას ნაწილები ახორციელებდნენ, სამთავრობო ძალებს ოდნავ უკეთესი პოზიციები ჰქონდათ. თბილისში ოპოზიციონერებმა იგრძნეს, რომ კიტოვანის გვარდიის განადგურება ან დაპატიმრება მათთვის პოლიტიკურ სიკვდილს ნიშნავდა და მძლავრი აქციები მოაწყვეს. რუსთაველზე თბილისის ზღვაზე და ზოგადად ქალაქში დიდი როლი შეასრულა ნოდარ ნათაძის აქტიურობამ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, პრეზიდენტი მოერიდა კიტოვანის ამბოხებული ნაწილის განადგურების გრძანების გაცემას, ამიტომ ხანმოკლე სროლის იქით საქმე არ წასულა. თუკი ქობალია შეტევას დაიწყებდა, ვკითხულობთ დ. გამცემლიძესთან, გრძოლაში ჩაერთვებოდა რუსული ავიაცია, რამდენადაც მოსკოვი არ დაუშვებდა კიტოვანის გვარდიის განადგურებას, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა.

საქმე აქ მხოლოდ მორალურ გადაწყვეტაში არ იყო, რომ იქით მხარესაც ქართველები იდგნენ და ისინი ჰუმანური თვალსაზრისიდან გამომდინარე, უნდა დაენდოთ.

სამთავრობო ჯარი არ იყო სათანადოდ შეიარაღებული ასეთი სპეცოპერაციისთვის, შეიძლება ითქვას, რომ შეიარაღება, დაახლოებით, ერთნაირი იყო ორივე მხარეზე. მათ არ ჰქონდათ მძიმე ტექნიკა, ნამდვილი არტილერია, ერთი-ორი ჯავშანტრანსპორტიორისა და ქვემეხის გარდა, არ გააჩნდათ სპეციალური საფრენი აპარატები და ავიაცია, რომელიც საჭიროა ასეთი სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ვერტმფრენს, საიდანაც ტყვიამფრქვევის გამოყენება იყო შესაძლებელი – იგი ცოტა ხნით გამოჩნდა და მალე დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდა.

კიტოვანელებს არ ეტყობოდათ, რომ ისინი ჩაგბრებისთვის მზად იყვნენ, ისინი გძროლას აპირებდნენ. სამთავრობო ჯარის რამდენიმე ოფიცერი მზად იყო სპეცოპერაციისთვის. პრეზიდენტთან შეხვედრისას მას ამ სამხედროებისთვის უთქვამს: რომც დავიწყოთ მოქმედება, ამბოხების მოთავეები მაინც გაიქცევიან, მათ ამაში ხელს შეუწყობენ და ვინ, ძნელი მისახვედრი არ არის (პრეზიდენტი გულისხმობდა რუსეთის სამხედრო შტაბს, „ზაკვოს“, – ჯ. გ.). სანაცვლოდ შეგვაწყდებიან სრულიად ახალგაზრდა გიჟები, რომლებიც უცოდინრობისა ან სხვა მიზეზების გამო წააქეზეს და ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღი ააღებინეს ხელში. ამის შემდეგ კი ოპოზიცია გააათმაგებს ქადაგებას, რომ ჩვენ ის ჯალათები ვართ, რომლებმაც ქართველი ახალგაზრდები ამოვხოცეთო.

ამის შემდეგ მოვლენების ეპიცენტრმა მთავრობის სასახლესთან გადაინაცვლა, როდესაც ოპოზიციამ სცადა, დაეკავებინა მოედანი მთავრობის სასახლის წინ. ოპოზიციონერთა დიდი ნაწილი ქვებითა და ჯოხებით იყო შეიარაღებული 4-5 ოქტომბერს, მთავრობის სასახლეზე იერიშის მიტანისას დაიღუპა ხელისუფლების საჯარისო სტრუქტურის ერთი გვარდიელი, ასევე, „წმინდა ილია მართლის საზოგადოების აქტივისტი“ გია ტეტელაშვილი. სამთავრობო გვარდიის ჯავშანტრანსპორტიორებმა, რომლებიც ცოტა მოგვიანებით გამოჩნდნენ რუსთაველზე, გაფანტეს ოპოზიციის აგრესიული გრბო. გვიან ღამით ოპოზიციურმა ჯგუფებმა რუსთაველის პროსპექტი დატოვეს. 4-5 ოქტომბრის მოვლენები ნამდვილად იყო ესკალაციის პიკი, რის შემდეგაც მკვეთრი დეესკალაცია დაიწყო, თუმცა მოჩვენებითმა სტაბილურობამ მხოლოდ 20-21 დეკემბრამდე გასტანა.

შეტაკებებს, რომელთაც მოჰყვა მსხვერპლი, ადგილი ჰქონდა 24 სექტემბერს „იმელთან“, რუსთაველის პროსპექტზე, მომდევნო დღეს დიდუბეში, „თელასთან“. 3 ოქტომბერს – თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე და ბოლოს, 5 ოქტომბერს – მთავრობის სასახლის წინ. მთლიანობაში, 2 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე მიმდინარე ესკალაციის დროს სხეულის დაზიანება მიიღო 200-მდე ადამიანმა, აქედან სტაციონარში იმკურნალა 73-მა მათგანმა, ხოლო დაიღუპა 10 მოქალაქე. ამ მოვლენების შეფასება პრეზიდენტმა გააკეთა 1991 წლის 8 ოქტომბრის სესიაზე, სადაც მას ხანგრძლივი გამოსვლა ჰქონდა. სიტყვის დასაწყისში მან პირველად ისაუბრა იმ ურთიერთობაზე, რომელიც ჩამოყალიბდა პრეზიდენტსა და ყოფილ პრემიერს შორის მის გადადგომამდე. ეს, მისი თქმით, გამოიხატებოდა თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებაში, უმნიშვნელოვანესი საკითხების პრეზიდენტთან შეუთანხმებლობაში. ეს, მეტადრე, სამხედრო სფეროს შეეხებოდა. ისინი თვითნებურად, პრეზიდენტთან შეუთანხმებლად წყვეტდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიც იყო, მაგალითად, გვარდიის რაოდენობა, დაფინანსება, ლოჯისტიკური საკითხები. მოსკოვის პუტჩის მოახლოებასთან ერთად ისინი იმუქრებოდნენ ტელევიზიის აღებით. არადა, პრემიერ სიგუას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოთქმული ჰქონია მოსაზრება, პრეზიდენტმა ახალი მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოსო, თუმცა შემდგომში მან აზრი შეიცვალა (ეს ზემოთაც არის აღნიშნული, – **ჯ. გ.**).

კაცი, რომელიც ღალატის სიმბოლოდ იქცა!

2 სექტემბერი პრეზიდენტმა შეაფასა, როგორც პროვოკაცია, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ცალკეული პირები როგორც ოპოზიციიდან, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ეს ყოველივე მოხდა, რათა განხორციელებულიყო ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა. მას მოჰყვა პროვოკაციული ინციდენტები და გვარდია ჩამოვიდა თბილისში. ქალაქში გაუარესდა კრიმინოგენური ვითარება, მოხდა თავდასხმები სახელმწიფო დაწესებულებებზე. ამ ძალებმა სახელმწიფოს გამოუცხადეს პირდაპირი შეიარაღებული გრძოლა, რის გამოც ეს ყოველივე წარმოადგენდა სამხედრო და სამოქალაქო ამბოხებას, ანუ პუტჩს.

ამის შემდეგ პრეზიდენტი გადავიდა საკითხზე, თუ როგორი რესპუბლიკა უნდა ჩამოყალიბებულიყო საქართველოში, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. მან ახსენა ოპოზიციის მიერ წამოყენებული მოთხოვნები პრეზიდენტის თანამდებობაზე და განაცხადა:

„ყველამ კარგად იცით, რომ მე არ ვეჯიდები ამ თანამდებობას და უპიდურესად მძიმეა და რთული ჩემთვის ამ მოვალეობის შესრულება, ძალზე მძიმეა და, ვინც არ უნდა იყოს ჩემს ადგილას, ყველასთვის ეს იქნება უპიდურესად მძიმე ჯვარი. ამას მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ამავე დროს პირდაპირ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ პირადულად არა ვარ მოსურნე ამ პოსტზე დარჩენისა, ამას მე გულწფრელად ვაღიარებ, ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში, სულ მცირე, რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, აბსოლუტური გადაჯარგვების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნი. ყველანი მიხვდით.

ყველამ დაძაბეთ გონება და განსაკუთრებით გთხოვთ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, რამე თუ არ იცით, რას ითხოვთ... გესმით?

მე ქუჩის გონებადაბნელებულ ოპოზიციას ვერ მოვუწოდებ ვერაფრისკენ, მაგრამ აქ ხართ განათლებული ადამიანები, ახლა პირფერობა არ მინდა, ამ ჩვენს ოპოზიციაში უაღრესად განათლებული, უაღრესად გათვითცნობიერებული და, მე ვიტყოდი, პოლიტიკურად საკმაოდ მომწიფებული ადამიანები, როდესაც აყენებენ ამ მოთხოვნას, არ იციან, რას იქმან, ვინაიდან ეს უახლოეს ხანში გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციასა და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, თბილისში და მე დაგიხატავთ თბილისს, თუ ეს ამბავი მოხდა.

ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უგნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება – შეიარაღებული განდეგი და მათი ხელმძღვანელები.

ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში. მათ შორის იქნება შეიარაღებული გრძოლა ძალაუფლებისთვის და ზეგავლენისთვის, და იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა, მო-

დასასრული. დასაწყისი №37

იშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები, აღარ იარსებებს სამართალდამცავი ორგანოები, აღარ იარსებებს სურსათით მომარაგება, აღარ იარსებებს სამედიცინო მომსახურება.

თბილისი, შესაძლოა, გადაიქცეს მკვდარ ქალაქად და საერთოდ შეწყვიტოს არსებობა, თუ დაიწყო თბილისში ის ანარქია, რომლისკენაც სურთ უბიძგონ ამ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციონერებს და ვიმეორებ, იქნება ხელისუფლების რამდენიმე კერა. ერთ-ერთი და უძლიერესი იქნება მათ ხელში, ვის ხელშიც მეტი არის შეიარაღებული ფორმირებები. დანარჩენები იქნებიან გაბნეული თბილისის სხვადასხვა უბნებში.

მთელ საქართველოს გადაედება შემდეგ ეს ტენდენცია და საქართველოშიც დაიწყება იგივე ლიბანიზაცია, რასაც ჩვენ დავინახავთ თბილისის ტერიტორიაზე. ამას შედეგად ის არ მოჰყვება, რაც ეგონათ, რაც ჰგონია ზოგიერთს, რომ შემოვა რუსეთი, მოსკოვი და იქ დაამყარებს სამხედრო დიქტატურას. ვერ დაამყარებს, ფიზიკურად ვერ დაამყარებს საქართველოში ამას.

საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

აი, რა მოჰყვება ჩემს შესაძლო გადადგომას, რომელსაც ესოდენ მხურვალედ მოითხოვენ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიები და, მგონი, ზოგიერთში, პარლამენტური ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელსაც ეს გულში ღრმად აქვს დამარხული. ეს არ არის მუქარა, ახლა რაც მე ვთქვი, ეს არ არის გადაჭარბება და ეს არ არის ჩემი პიროვნების, ვთქვათ, თავზე მოხვევა თქვენთვის, ეს არ არის რეალობა და, მე გთხოვთ, გაახილოთ თვალი და გაუმართოთ თვალი აი ამ რეალობას“.

გამოსვლაში პრეზიდენტი შეეხო სახელმწიფო მოწყობის ფრანგულ მოდელს, რომელიც მან დააკავშირა პრეზიდენტ დე გოლთან. ასევე აღნიშნა, რომ გარდამავალ პერიოდში საქართველოსთვის უფრო მისაღები იქნებოდა ფრანგული და არა გერმანული, საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენს ხალხს ძლიერი ანარქიული ინსტინქტები ახასიათებს, არ არის კანონმორჩილი, საზოგადოება არ არის კონსოლიდირებული, მიდრეკილია დაპირისპირებისა და დაშლისკენ, რომ შინაგანი ერთობითა და კონსოლიდაციის უნარით ჩვენ ვერ შევედრებით ისეთ ხალხებს, როგორებიც არიან გერმანელები ან ისრაელელები. ამ საკითხზე კიდევ ასეთი ითქვა: „დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა მკითხეს მე: კი მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ოპოზიცია მივიდა აი, იმ შეიარაღებული ფორმირებებთან, მათთან ერთად გიპირისპირდებათ. ინგლისის პარლამენტში ოპოზიცია თანამშრომლობს მმართველ პარტიასთან და ისინი ერთად იღვწიან ერის საუკეთესო მომავლისთვისო. მე ვუთხარი: სამწუხაროდ, იმიტომ, რომ ჯერ ნამდვილი დემოკრატია ჩვენში არ არის. დიახ, არ არის ნამდვილი დემოკრატია. ნამდვილი დემოკრატია არის სწორედ აი, ეს ერთობა ხელისუფლებისა და ოპოზიციისა და ჰარმონიული მოქმედება. კი ბატონო, კრიტიკა, კი ბატონო, მწვავე შეფასებები, მაგრამ არა იარაღით ხელში ბრძოლა. აი, ეს დავძლიოთ და მაშინ ჩვენ ჩვენს პარლამენტს გადავარჩენთ, ჩემო ბატონებო. გადავარჩენთ ჩვენს პარლამენტსაც, ჩვენს საქართველოსაც, რამეთუ სხვა გამოსავალი ჩვენ არ გაგვაჩნია“.

შემდეგ პრეზიდენტმა დაამატა, ახლა დადგა დრო, პარლამენტში დაიწყოს საერთო ენის გამონახვა ჩვენსა და ოპოზიციას შორის, ურთიერთაზრის პატივისცემაო. ამიტომ, მისი თქმით, საჯირო იყო მისცემოდა ყველაფერს შეფასება და აღდგენილიყო საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა და წესრიგი. ეს კი ამ სესიის შემდეგ, არც ოქტომბერში, არც ნოემბერ-დეკემბერში ნამდვილად არ მომხდარა – ეს, არსებითად, არც მშვიდობა უფრო, არც წესრიგი: იგი უფრო სიჩუმეს ჰგავდა მოახლოებული ქარიშხლის წინ...

(მკითხველის თხოვნით, გაგრძელება იქნება).



ირაკლი კობახიძე: 31 მარტის რეფერენდუმმა საფუძველი დაუდო ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას!

ეს არის უმნიშვნელოვანესი თარიღი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. 31 მარტი არის რეფერენდუმის დღე და ის დღე, რომელმაც საფუძველი დაუდო ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ გუშინ განაცხადა.

„რა თქმა უნდა, სიმბოლურია, რომ რეფერენდუმის დღე სწორედ პირველი პრეზიდენტის დაბადების დღეს დაემთხვა. ამ დღემ მისცა დასაბამი ჩვენი სახელმწიფოებრიობის უახლეს ისტორიას.

ეს არის მისალოცი თარიღი. ხაზს გავუსვამ იმას, რომ მაშინდელი რეფერენდუმი ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, რაც იყო უმნიშვნელოვანესი აქტი“...

ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ხსოვნას პატივი მიაგეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებმა, დავით წვერავამ და დავით კუხალეიშვილმა, ზუგდიდის მერთან მამუკა წოწერიასთან, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დამოუკიდებლობის აღდგენის მემორანდუმის დღესთან და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით, ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში პირველი პრეზიდენტის ბიუსტი გვირგვინით შეამკეს.

33 წლის წინ, 1991 წლის 31 მარტს, ჩატარებულ რეფერენდუმზე, ამომრჩეველთა უდიდესმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა კითხვას: **„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“.**

რეფერენდუმის შედეგები საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების საფუძველი გახდა.

საქართველოს პირველ პრეზიდენტს, მწერალს, მთარგმნელს, დისიდენტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ეროვნულ გმირს, ზვიად გამსახურდიას 85 წელი შეუსრულდებოდა.

* * *

ზვიად გამსახურდიას 85 წლისთავი რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში აღნიშნეს.

ფეხბურთის საჯარიმო მოედნიხელა მამულის სიხარული!

რა თქმა უნდა, 26 მარტის საფეხბურთო მატჩი, რომელმაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შეძრა მთელი საქართველო, არ ყოფილა ოდენ სპორტული შეჯიბრება, განუზომლად უფრო მეტი და დიდი შინაარსისა იყო: თავისუფლებამოპოვებული ქვეყანა შეიძლებოდა გამხდარიყო ევროპის სპორტული ყოფის – საფეხბურთო ცხოვრების სრულყოფილი მონაწილე.

ამრიგად, საფეხბურთო მატჩს უნდა გადაეწყვიტა პოლიტიკური მიზანიც. ამიტომ სდებდა ქართველი ხალხი მას დიდ იმედს. ეს იმედი ახდა და გახარებულმა ხალხმაც ერთიანად იზეიმა გულით, სულით, მთელი არსებით.

დიახ, ეს ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო, რომელიც, სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად აქვს ჩვენს გაგზარულ სამშობლოს.

ამ გამარჯვებამ სიამაყით გაგვახსენა 1981 წლის 13 მაისი, როცა თბილისის „დინამომ“ ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში გერმანულ იენას გუნდს „კარლ ცაისს“ მოუგო. თბილისი მაშინაც ვულკანს ჰგავდა.

მახსოვს ხალხში ჩამდგარი შს მინისტრის პირველი მოადგილის გენერალ ვარლამ შადურის სხვათა მსგავსად გახარებული და თან გაფაციცებული სახე – ის როგორც საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი, ფხიზლად ადევნებდა თვალს მოვლენებს. სხვათა შორის, შემდეგ სულ აღნიშნავდა, რომ იმ საღამოს თბილისში წესრიგის დარღვევის ერთი შემთხვევაც არ ყოფილა.

ასე იყო ამჯერადაც.

ერთი რამ კი მომხვდა გულზე და მინდა გაგიზიაროთ: რატომღაც არავის გახსენებია ასეთივე არანაკლები ზეიმის დღე – 1964 წლის 18 ნოემბერი, როცა თბილისის „დინამო“ სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის გუნდი სიძლიერით გამოირჩეოდა სსრ კავშირის პირველობაზე მოთამაშე უმაღლესი კლასის გუნდებს შორის, ათწლეულების მანძილზე ვერა და ვერ გახდა გათამაშების ჩემპიონი, თუმცა, 5-გზის იყო ვიცე-ჩემპიონი, 13-გზის ბრინჯაოს პრიზიორი, 2-ჯერ მოიგო სსრკ თასი, 6-ჯერ კი ფინალში გავიდა. იმას, რომ ასეთი სახელოვანი, ძლიერი გუნდი ვერა და ვერ გახდა ჩემპიონი, თავისი საფანელი ჰქონდა: მოქმედებდა დაუწერელი „კანონი“, რომ ჩემპიონი აუცილებლად მოსკოვის ხუთი გუნდიდან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ 1964 წელს სამართალმა მაინც ჭამა პური. იმ წელს თბილისის „დინამომ“ და მოსკოვის „ტორპედომ“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და 18 ნომბერს ტაშკენტში დაინიშნა ამ გუნდების ფინალური შეხვედრა. ქართველებმა შემუსრეს მოსკოველები – 4:1 (ბურთები გაიტანეს ილია დათუნაშვილმა – 2, მიშა მესხმა და სლავა მეტრეველმა). ის შეხვედრა „ოქროს მატჩის“ სახელით შევიდა ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

იმდენი ხალხი თბილისის ქუჩებს 1956 წლის 9 მარტის შემდეგ აღარ ენახა. იმ 9 მარტს რაც მოხდა, ყველას კარგად გვახსოვს: დემონსტრანტებს საბჭოთა ჯარისკაცებმა ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაუშინეს და ქუჩები სისხლით შეღებეს. მაშინ ადამიანები ეროვნულმა პროტესტმა გამოიყვანა გარეთ, ახლა კი რევანშმა – სანატრელმა გამარჯვებამ.

მინდა მკითხველს შევახსენო, რომ ხალხი სწორედაც რომ „თავის“ გამარჯვებას ზეიმობდა და არა მხოლოდ ფეხბურთელთა გამარჯვებას. იმ დროს ფეხბურთს განიხილავდნენ, განსაკუთრებით სისხლიანი 1956 წლის 9 მარტის შემდეგ, როგორც ფაქტობრივად რუსეთზე გამარჯვების ერთადერთ რეალურ საშუალებას. ამიტომ ითქმებოდა სიტყვა „გამარჯვება“ განსაკუთრებული, ხაზგასმული სიამაყითა და დატვირთვით.

თანაც არ დაგავიწყდეთ, იმ მარტის შემდეგ პირველად მოგვეცა საშუალება და უფლება (თუმცა, უფლება არავისთვის გვითხოვია) და ქუჩები მოზეიმე ხალხით აივსო.

ამის დავიწყება არ ეგების!..

დავუბრუნდეთ 26 მარტის მატჩს, რომელმაც, როგორც საყოველთაოდ აღნიშნავენ, „ახალი ისტორია“ დაწერა: საქართველოს ნაკრებმა პლეი-ოფის ფინალში საბერძნეთის ნაკრებს პენალტების სერიაში (4:2) სძლია და პირველად ისტორიაში ევრო 2024-ის საგზური მოიპოვა. ევროპის ჩემპიონატზე იგი F ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები თურქეთის, ჩეხეთის და პორტუგალიის ნაკრებები იქნებიან.

იხ. 13 გვ.

წაიკითხეთ კანონი, ძვირფასო ადვოკატებო!

მსოფლიო მასშტაბით, კვირის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად რჩება ტერაქტი მოსკოვში. გოლო მონაცემებით, დაღუპულია 144 და დაშავებულია ორასამდე ადამიანი. მოვლენები ძალიან სახიფათოდ ვითარდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ტერორისტების ხელით შესრულებული ეს შემაძრწუნებელი დანაშაული, შესაძლოა, რუსეთ-უკრაინის ომის ესკალაციის საბაბად იქცეს.

ამაზე მიუთითებს პრეზიდენტ პუტინის მსოფლიო ლიდერების გასაგონად გაკეთებული ბოლოდროინდელი განცხადებაც: შემსრულებლები ცნობილია და ისინი დაკავებულია, მაგრამ ჩვენ დამკვეთი გვაინტერესებს. ეს ტერორისტული აქტი ჩვენი, რუსეთის შესაშინებლად და ჩვენთან მეომარი სახელმწიფოების გასამხნევებლად მოეწყო, რათა მთელი მსოფლიოსთვის დაენახვებინათ, რომ რუსეთი არც ისე ძლიერია და მასთან ბრძოლა და გამარჯვება უიმედო საქმე სულაც არ არისო. პუტინის ეჭვს აძლიერებს ამერიკის მმართველი ელიტის დაუნებებული განცხადებები, რომ ამ დანაშაულთან უკრაინას არავითარი კავშირი არა აქვს. რადიკალურად ანტირუსულ წრეებში ყველაზე პოპულარულია ვერსია, რომ ტერაქტი თვითონ რუსების ინსპირირებულია უკრაინის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების კიდევ უფრო გასასტიკების მიზნით.

წარსულის ანალოგიური შემთხვევებიდან გამომდინარე, ჭეშმარიტებას ალბათ ვერასოდეს შევიტყობთ. ერთი რამის წინასწარმეტყველება კი ნამდვილად შეგვიძლია – 144, ან თუნდაც 1 144 000 მშვიდობიანი ადამიანის მკვლელობით პუტინის შეშინება ან მისთვის გულის აჩუყება უიმედო ამბავია.

* * *

გასულ კვირას საქართველოს პოლიტიკურ წრეებში, განსაკუთრებით, „ქართულ ოცნებაში“ საკმაოდ დიდი აღშფოთება გამოიწვია ამერიკელი პოლიტოლოგის, ვინმე ფრენსის ფუკუიამას განცხადებამ. ჩემდა სამარცხვინოდ, არც ფუკუიამას პერსონისა და არც მისი შემოქმედების შესახებ გვერი არაფერი ვიცი. თუმცა, ჩემი ეს არცოდნა, ალბათ, მეორეხარისხოვანია – ფუკუიამა ხომ ამერიკელია და თანაც, პოლიტიკოსი! მეტიც, ქალბატონი ხატია დეკანოიძის თქმით, იგი არის სტენფორდის უნივერსიტეტის მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორი, წიგნების ავტორი და, რაღა თქმა უნდა, ნეგისმიერი „კლიაუზა“ ეპატიება. ჰოდა, ხატიას და ხაგეს მიერ საქართველოში მოწვეულ ამ ყოვლად სახელგანთქმულს უგრძანებია, გიძინა ივანიშვილი ოლიგარქია, ქვეყნის არაფორმალური მმართველია და ქართველი ხალხის ნებას არ გამოხატავსო!

ფუკუიამასთან, მით უფრო, ხატია დეკანოიძესთან კამათს როგორ გავბედავ, მაგრამ იქნებ ვინმემ მითხრას, არის თუ არა ოლიგარქი აშშ-ს გუშინდელი პრეზიდენტი და ხვალინდელი პრეზიდენტობისთვის არცთუ უიმედოდ მებრძოლი ბატონი დონალდ ტრამპი!

მოდი, გავიხსენოთ, რომ გიძინა ივანიშვილი საქართველოს მმართველი პარტიის შემქმნელი და დღემდე მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ამიტომ თეორია მის „არაფორმალურ მმართველობაზე“ ცოტა გულუბრყვილობას წააგავს და უვიცების გულის მონადირების სურვილიდან მომდინარეობს. ახლა აქ ყველაფერს ვერ ჩამოვყვები, მაგრამ იქნებ გავიხსენოთ, თანამედროვე მსოფლიოში ივანიშვილზე ათჯერ და ასჯერ მდიდარ რამდენ ადამიანს აქვს გაკეთებული თავისი ხალხისთვის ივანიშვილზე ათჯერ და თუნდაც ასჯერ ნაკლები სიკეთე (ქველმოქმედებას ვგულისხმობ)!

და რაც მთავარია, რომ არა გიძინა ივანიშვილი, საქართველო დღესაც ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იქნებოდა გახვეული. ამას დანახვა და დაფასება უნდა.

გიძინა ივანიშვილთან, მის ოჯახთან, საახლობლოსთან, „ოცნების“ ელიტასთან რაიმე მეგობრული ურთიერთობა არასოდეს მქონია. თუმცა, ეს ქართველი ხალხისთვის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენისთვის გაკეთებული საქმეების დაუნახაობას სულაც არ ნიშნავს. მე, ქართველი ხალხი, ფუკუიამაზე უკეთ ვხედავთ და ვაფასებთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს – კარგსაც და ავსაც.

იქნებ ვცდები, მაგრამ ჩემი აზრით, ივანიშვილის პერსონის შესახებ უაზრო ჭორებისა და ბრალდებების გავრცელებას ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს თვითონ ივანიშვილი – თავისი აუხსნელი კარჩაკეტილობით.

* * *

ნუ გაიკვირვებთ, რომ ნაცოკოზიცია ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში თავადაც დარწმუნებულია და ამაში ჩვენც გვარწმუნებს. არის ერთი პატარა გაუგებრობა, გნებავთ, უთანხმოება – ვინ იქნება ქვეყნის პრემიერი: ხაგეიშვილი, გვარამია, ვაშაძე, მელია, ხაზარაძე, დეკანოიძე, დედა-სალომე, მამა-გრიგორიადისი, ნატა ფერაძე, მეგი გოცირიძე თუ ყველა ერთად. იგივე ვითარებაა მინისტრების პოსტებთან დაკავშირებითაც. იმედია, ეს წვრილმანი ოქტომბრამდე გადაწყდება. დღეისათვის კი ჩვენზე და, განსაკუთრებით, ემიგრანტებზე მზრუნველი ოკო უცხოეთის ქვეყნებში მუდმივად, დროებით, თუ გავლით მყოფი ჩვენი თანამემამულეებისთვის საარჩევნო უბნების გახსნას ითხოვს.

მხოლოდ ჩვენს საელჩოებთან და საკონსულოებთან კი არა, ყველგან, მსოფლიოს ყველა ქალაქსა და სოფელში, სადაც შეიძლება ჩვენი თანამემამულეები ბინადრობდნენ. ბევრი არაფერი, ზერელე გაანგარიშებით, საუბარი ათასობით ახალ საარჩევნო უბანზე და მილიარდობით დოლარზეა. ეს ჩვენი ხელისუფლება კიდე ჭირვეულობს, ასეთი სისულელე რამ მოგაფიქრებინათ, ემიგრანტები, კანონის თანახმად, შესაბამისი ქვეყნების საელჩო-საკონსულოებში რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ და ხმაც იქ უნდა მისცენო. თანაც, საარჩევნო უბანი იმ შემთხვევაში გაიხსნება, თუ კონკრეტულ ქვეყანაში 50-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე დარეგისტრირდება. ვიმეორებ, ასე მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამან პრეზიდენტი სალომე აღაშფოთა და საგარეო საქმეთა მინისტრი საქმის გასარჩევად თავის ოფისში დაიბარა, რაზეც ზრდილობიანი უარი მიიღო, სისულელეებზე დროს ვერ დავკარგავო.

თავის მხრივ, ყოვლისმცოდნე და ყველგანმყოფმა სააკაშვილმა თავისი ბოლო „ოფისიდან“ ჩვენს ემიგრანტებს ყველა საელჩოსა და საკონსულოსთან უმწვავესი საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდა.

* * *

ნაცმოძრაობამ და მისმა მხარდამჭერებმა კარგა ხანია გვამცნეს, რომ აგროვებდნენ ხელმოწერებს პრეზიდენტისადმი პატიმარ სააკაშვილის შეწყალების მოთხოვნით. მიშისტ ლიდერების განცხადებით, ხელმომწერთა რაოდენობამ გასული კვირის სამშაბათისთვის ასტრონომიულ ციფრებს მიაღწია.

მოდი, ვიმსჯელოთ ლოგიკურად. თუ საქართველოში სააკაშვილის მხოლოდ დეკლარირებული მომხრე ნახევარი მილიონი ადამიანია, ოქტომბრის არჩევნებში ულაპარაკოდ რომელიღაც ნაცპარტიას გაუმარჯვნია. პუტინის მძევალ მიშას სამწუხაროდ, სიმართლე სხვაა – პატივცემული დამთვლელები ჩვენც გვატყუებენ, პრეზიდენტსაც, თავსაც იტყუებენ და, რაც მთავარია, ატყუებენ პატიმარ სააკაშვილს. ეს ოდიოზური ფიგურა კარგა ხანია, არც ნაცებს სჭირდება, არც გირჩებს, არც ახლებს, არც ლელოს და არც თვითონ სააკაშვილის ოჯახს. სჭირდებათ მხოლოდ მისი ფული. თუ ეს ფული გამოილევა, ან ხაბეკასტაზე მისი დარიგება შეწყდება, ყოფილი ბელადისადმი ინტერესი იმწამსვე გაქრება და სააკაშვილის სიცოცხლეს მისი დღევანდელი მადიდებლებისაგან სასიკვდილო საფრთხე დაემუქრება. ეს სააკაშვილმაც შესანიშნავად იცის.

ქალბატონი პრეზიდენტი კი ხელმომწერების აჯას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეისმენს, თუ საკუთარი პერსონის გაბელადების გარანტია ექნება. მოვლენათა ამგვარი განვითარება კი ძალიან საეჭვოა – თავად ყოვლად უპრინციპო ზურაბიშვილს ნაბელადარის უპრინციპობისა და ცრუპენტელობის შესახებ მშვენივრად მოეხსენება – როგორც კი თავს ციხის გარეთ დაიგულებს, სააკაშვილი დეიდა სალომეს დამსახურებას იმწამსვე დაივიწყებს, ცივწყალგადასხმულ მომხრეებს შთამბეჭდავ ბრანწს დაუტოვებს და თავისი მილიონებით რომელიმე შორეულ მზიურ ქვეყანაში თავქუდმოგლეჯილი გაექანება.

გავბედავ და, სააკაშვილს დიდი მოკრძალებით ერთ რჩევას შევთავაზებ: საკუთარი თავისთვის „პუტინის ტყვე“ ალექსი ნავალნის დარქმევა მაინცდამაინც გონივრულად არ გამოიყურება - ნავალნის საქართველო სძულდა და ქართველები არარაობად მიაჩნდა. პოლიტიკოსის პირობაზე ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა და, თანაც, ციხეში. რაც მთავარია, ჰყავდა მხოლოდ ერთი ოფიციალური ცოლი.

სამაგიეროდ, აგერ გვყავს მსოფლიოში სახელგანთქმული ნელსონ როლინლაჰლა დალიბუნგა მანდელა – ცოტა შავგვრემანი, მაგრამ ახოვანი და წარმოსადეგი კაცი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამაგალითო მებრძოლი; 27 წელი გაატარა ციხეში, თანაც, უსასტიკეს პირობებში. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ გახდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი. იყო ნობელის პრემიისა და სხვა უთვალავი ჯილდოს მფლობელი. არასოდეს ერთი აუგიც კი არ დასცდენია საქართველოსა და ქართველებზე. იცოცხლა 95 წელი. მიშასავით ერთბაშად არა, მაგრამ რიგრიგობით ჰყავდა სამი მოსიყვარულე ცოლი. თავად განსაჯეთ: მიშა როლინლაჰლა დალინბუგა სააკაშვილი – „ზვუჩიტ“? „ზვუჩიტ“! ვფიქრობ, ღირს დაფიქრებად – რაღაც 27-წლიანი პატიმრობის შემდეგ ხელისუფლების სათავეში ისევ აღზევება არ უნდა იყოს ურიგო პერსპექტივა.

* * *

გასულ კვირას კვლავ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი 2005 წელს ტელეკომპანია „იმედის“ დარგევის გამო. კიდევ ერთხელ ვიხილეთ ამ დარგევის მთავარი შემოქმედის, სააკაშვილის დაახლოებით თხუთმეტწუთიანი სარეკლამო პოლიტიკური გამოსვლა. თუმცა, ამ შემთხვევაში საინტერესო სააკაშვილისა კი არა, მისი ადვოკატის არგუმენტია: მისი გრძელი კლიენტი არავითარ შემთხვევაში არ გასცემდა „იმედის“ დარგევის გრძანებას. ეს დანაშაული პრეზიდენტ სააკაშვილის სახელის გასატეხად თავად ტელევიზიის მფლობელის, გადრი პატარკაციშვილის ინსპირირებული იქნებაო!

ამ დემაგოგიის ავტორს და მის მსმენელებს უნდა შევახსენო, რომ ტელევიზია დაარბია სპეციალური დანიშნულების რაზმმა, რომელიც 2004 წელს საა-

კაშვილის ინიციატივით მიღებული კანონის თანახმად, ემორჩილებოდა მხოლოდ საკაშვილის მრძანებებს – არა პარლამენტის გადაწყვეტილებას, არა შს მინისტრის, არა უშიშროების სამსახურის უფროსის ან თვით ქალბატონი სანდრა რულოვსის, არამედ მხოლოდ საკაშვილის მრძანებებს!

* * *

გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ სტრასბურგის სასამართლომ განსახილველად არ მიიღო უმანკო (ან იქნებ უბიწო სოროდეს?!) ნიკა გვარამიას სარჩელი რაღაც მათხოვრული 7 მილიონი ლარის მითვისებისთვის გასამართლების გამო. მართალია, მელია-გვარამიამ ერთმანეთში ჰალსტუხები მსოფლიო ნაცდვიჟენიის ყიჟინის ფონზე გაცვალეს, მაგრამ, ეტყობა, პარტია „ცინცხალის“, უკაცრავად, „ახალის“ დიდ ლიდერს ნასამართლობის იარლიყის ტარება მაინცდამაინც არ მოსწონს. ამიტომაც დაიმუქრა, ჩემი უდანაშაულობის აღიარების მოთხოვნით გაეროს მივმართავო. გაეროში ალბათ უკვე შიშით ცახცახებენ, მით უფრო, გვარამიას თვით საკაკაშვილიც მხარს უჭერს.

ისიც საინტერესოა, რომ სტრასბურგის სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ნაცოპოზიციის არცერთი დიდი და მცირე ლიდერი არ იცნობს. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე აცხადებენ.

სამაგიეროდ, სტრასბურგის ამ გადაწყვეტილებამ ბრძოლის ხასიათზე მოიყვანა გვარამიასთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამომტანი მოსამართლე ლაშა ჩხაიძე. შეგახსენებთ, რომ შარშან ჩვენმა „გვარამისტმა“ ამერიკელმა მეგობრებმა გამოგონილი საბაბით, სწორედ ამ მოსამართლეს არ მისცეს ამერიკული ვიზა.

რახან სიტყვა სამართალზე და სასამართლოზე ჩამოვარდა, გასულ კვირას შევიტყვეთ, რომ დემოკრატიის კვლევის მსოფლიო ცენტრის ინფორმაციით, სასამართლოს დამოუკიდებლობის ინდექსით საქართველო მსოფლიოში 27-ე ადგილზეა და ევროკავშირის 21 ქვეყანაზე წინ დგას. ალბათ იმის გახსენებაც ღირს, რომ საკაშვილის რეჟიმის ზეობისას, 2012 წელს საპატიო 96-ე ადგილს ვიკავებდით.

და მაინც, ჩვენი ყოვლისმცოდნე ოპოზიცია კვლავ ჯიუტად მოითხოვს პოლიციელის მკვლელობის მცდელობისა და პოლიციის ავტომობილის დაწვისთვის დაპატიმრებული თვალხატულა გრიგორიადისის პოლიტპატიმრად შერაცხვას, მის შეწყალებას და, საერთოდ, ქართულ სასამართლოზე რომელიმე უცხოური ქვეყნის კონტროლის დაწესებას.

სამწუხაროდ, არც ის გაგიკვირდებათ, რომ სამშობლოზე და საქართველოს მოქალაქეებზე უგზოუკვლოდ შეყვარებული ოპოზიციის ერთი დიდი ნაწილი დპპ-ით თემის (გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობების მიმდევართა) „საქმიანობის“ პროპაგანდის შეზღუდვასაც ეწინააღმდეგება. არა, ბატონო, ისინი თავად არც მისექსუალები არიან, არც ჰეტეროსექსუალები, არც პედოფილები, არც გერონტოფილები – ისინი არიან ადამიანები, ვინც თავისი პოლიტიკური კარიერის იქით ვერაფერს ხედავენ და ერი და სამშობლო ფეხებზე ჰკიდიათ, მათ შორის, საკუთარი მომხრეებიც. მოკლედ, ვინც LGBT პროპაგანდის აკრძალვის წინააღმდეგ გამოდის, პოპულარული ქალაქურ-ქუჩური ტერმინი რომ მოვიშველიო, არის ნამდვილი „პედერასტი“ – თვალთმაქცი, ნაძირალა, ყველა სიმინძურის მკადრებელი.

* * *

საქართველოში და დანარჩენ მსოფლიოში კიდევ გვერი საინტერესო რამ მოხდა – ავიც და კარგიც. ჩვენ კი, დღევანდელი საუბარი გასული კვირის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენით დავასრულოთ – საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა უმძიმეს და ულამაზეს ბრძოლაში დაამარცხა საბერძნეთის ტიტულოვანი გუნდი და ივნის-ივლისში გერმანიაში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.



ახალს არაფერს ვიტყვი – ეს იყო არა მხოლოდ საფეხბურთო გუნდის, არამედ მთლიანად საქართველოს ხალხის, ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამარჯვება მსოფლიო ასპარეზზე.

თეიმურაზ ქორიძე.
31.03.2024

ქართული გეოლოგიური სკოლა მან მსოფლიოში წარმოაჩინა



აკადემიკოსი მიხეილ კაკაბაძე 85 წლისაა

ქართული გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, აკადემიკოს მიხეილ კაკაბაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. ბატონმა მიხეილმა 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შემდეგ ჩაირიცხა გეოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე.

1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კოლხიდიტები და მათი სტრატიგრაფიული მნიშვნელობა“.

ამის შემდეგ მ. კაკაბაძე სამეცნიერო მოღვაწეობას აგრძელებს ალექსანდრე ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში დირექტორის მოადგილემდე. ბატონმა მიხეილმა ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში გეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – სტრატიგრაფია-პალეონტოლოგიის განვითარებაში. მის შრომებს თავფეხიანი მოლუსკების ფაუნის, მისი სისტემატიკის, ფილოგენეზისის, ბიოგეოგრაფიისა და სტრატიგრაფიული მნიშვნელობის შესახებ ტეთისისა და ბორეული რეგიონების ცარცული ნალექების სტრატიგრაფიისათვის და კორელაციისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. კაკაბაძის მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში 1979-1980 წლებში მისი მიწვევა ემერჰარდ კარლის სახ. ტიუბინგენის უნივერსიტეტში (გფრ). ამავე წლებში მ. კაკაბაძე იყო ა. ჰუმბოლტის საერთაშორისო სამეცნიერო სტიპენდიატი.

1982 წელს მიხეილ კაკაბაძე იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „სსრკ-ს სამხრული ზოლის ადრეცარცული ჰეტერომორფული ამონიტები (ანცილოცერატიდები და ჰეტეროცერატიდები) და მათი ბიოსტრატიგრაფიული მნიშვნელობა“. ეს იყო ყირიმის, კავკასიისა და შუა აზიის ანცილოცერატიდების შესწავლის პირველი მონოგრაფიული შეჯამება. პირველად იყო წარმოდგენილი მეზოზოური განხვეული ამონიტების მორფოლოგიური კლასიფიკაციის ახალი სქემა. ახლებურად იყო განხილული ამ ოჯახის სისტემატიკის ზოგიერთი საკითხები. მ. კაკაბაძემ დაადგინა ანცილოცერატიდების 3 ახალი გვარი და 14 ახალი სახე.

1989-2011 წლებში მიხეილ კაკაბაძეს ხანგრძლივი მივლინებებით იწვევენ ქვედა ცარცული განხვეული ამონიტების კოლექციების განსაზღვრისთვის საფრანგეთის იოსეფ ფურნიეს სახ. გრენობლის უნივერსიტეტში, ქ. ლეიდენის (ჰოლანდია) ბუნების ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში და ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლს- უნივერსიტეტში (გფრ).

2009 წელს მ. კაკაბაძეს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2020 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად.

1978 წლიდან, თითქმის 30 წლის განმავლობაში, აკადემიკოსი მიხეილ კაკაბაძე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს კურსს სტრატიგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი მიხეილ კაკაბაძე მონაწილეა ათეულობით საერთაშორისო ფორუმისა. გარდა ამისა, იგი საგრანტო პროექტებთან და სხვა საერთაშორისო სახის თანამშრომლობასთან დაკავშირებით, მრავალი წლის განმავლობაში გამოდიოდა სპეციალური სამეცნიერო მოხსენებებით საფრანგეთის, თურქეთის, ბრაზილიის, შვედეთის, ნორვეგიის, მოსკოვისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. მისი შრომები, რომელთა რაოდენობა 150-ს აღემატება (მათ შორის 5 მონოგრაფია, და აქედან 1 უცხოეთშია გამოცემული), გამოქვეყნებულია მსოფლიოს სხვადასხვა მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებსა და გამომცემლობებში. ამასთან იგი არის 26–ზე მეტი ხელნაწერი შრომის (გეოლოგიური ანგარიშების) ავტორი.

ბატონი მიხეილი არის არაერთი უცხოური სამეცნიერო გრანტის, მათ შორის (ISF, CRDF, NWO, NATO, Sepkoski Grant – Paleontological Society (USA), Alexander von Humboldt Foundation (Germany**) სამჯერ)და საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების (ორჯერ) მფლობელი.**

მისი, როგორც მეცნიერისა და ინტელექტუალის ავტორიტეტს კიდევ უფრო მაღლა წევს რამდენიმე უცხო ენის ცოდნა. იგი თავისუფლად ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა საყოველთაოდაა აღიარებული. იგი არის ალ. ჯანელიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ბატონი მიხეილი არის საერთაშორისო გეოლოგიური მეცნიერებათა კავშირის (IUGS) ცარცული კომისიის წევრი, გეოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის ქვედაცარცული ამონიტების სამუშაო ჯგუფის (კილიანის ჯგუფის) წევრი, საერთაშორისო ჟურნალების: „Cretaceous Research“-ს და: „Carnets de Gцologie - Notebooks on Geology“-ს რევიუერი.

ბატონი მიხეილი არის იუნესკოს პროექტების (262 გკსპ-ს და 610 გკსპ) ჰუმბოლდტის ფონდის – „სამხრეთ ატლანტიკის ოკეანის გახსნა ადრეულ „შუა აპტურში“ მონაწილე.

ვულოცავთ ბატონ მიხეილს იუბილეს, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, მხნეობას, დაუცხრომელი ენერგიის შენარჩუნებას და მომავალი შემოქმედებითი გეგმების შესრულებას ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება,
ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტი

სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა ის, რაც თავის დროზე დაადგინა ქართულმა მართლმსაჯულებამ!

ყველამ კარგად იცის, რომ ნიკა გვარამიას აქვს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული.

„გვარამიამ ერთ-ერთ ტელევიზიას მოჰპარა, წაართვა შვიდი მილიონი, ეს არის მისი დანაშაული. ეს არის მძიმე დანაშაული, განსაკუთრებით გამომდინარე იქიდან, რომ ეს იყო მედიის წინააღმდეგ მიმართული. ეს დადასტურდა საბოლოო ჯამში სტრასბურგის გადაწყვეტილებით. ვერავითარი პიარული ტრიუკი ვეღარ დაეხმარება გვარამიას, რომ ეს ლაქა ჩამოიწმინდოს“, – განაცხადა **პოზახიძემ.** სტრასბურგის სასამართლომ ნიკა გვარამიას სარჩელი განსახილველად არ მიიღო.

ჩვენი ამოცანაა, რომ კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით, ევროპის ქვეყნების სამეულში დავიმკვიდროთ ადგილი

კორუფციასთან ბრძოლა არის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი, ამოცანა, ეს არის ჩვენი ამბიციური მიზანი.

პრემიერის თქმით, საქართველოს აქვს ამბიცია, იყოს კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით მოწინავე ქვეყანა.

– ჩემი საპარლამენტო გამოსვლის დროს მქონდა საუბარი, რომ დღევანდელი მონაცემები არის კარგი, მაგრამ არ უნდა ვიყოთ თვითკმაყოფილი.

ჩვენი ამოცანაა, რომ ევროპის ქვეყნების სამეულში დაიკავოს ჩვენმა ქვეყანამ ადგილი კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით. ამ ამოცანის შესრულებაში მიუროს ენიჭება განსაკუთრებული როლი, – განაცხადა **პოზახიძემ.**

ივანიშვილი ბაჩიაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას სასამართლოზე მისცემს!

ბრალდებული და თავისი გაქნილი ადვოკატები (განსაკუთრებით უცხოელი ვექილი) სასამართლომდე რომ უტიფრად ილანძღებიან, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ საქმესაც მოიგებს?!

თბილისის საქალაქო სასამართლოში ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული საქმის განხილვა დაიწყო. თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის კრიპტოვალუტის მითვისების საქმეზე ბრალდებულ გიორგი გაჩიაშვილის საქმე არსებითად განსახილველად სასამართლოს გადაეცა. მოსამართლე ნატო ხუჯაძემ უნდა თქვას, ჩაიდინა თუ არა გაჩიაშვილმა დანაშაული.

გიორგი გაჩიაშვილი, რომელიც თავს დამნაშავედ არ თვლის, ბრალდებულია 2017 წელს განხორციელებული ქმედების გამო. კერძოდ, პროკურატურის ინფორმაციით, **გაჩიაშვილმა ინვესტორს ჩადებული ინვესტიციებიდან მიღებული სრული მოგების სანაცვლოდ მხოლოდ 536 900 აშშ დოლარი გადასცა, ხოლო დარჩენილი ინვესტორის კუთვნილი 8 253.13 ოდენობის ბიტკოინი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა, რომლის ღირებულებაც იმ დროს 39 215 820 აშშ დოლარს შეადგენდა.** ხმაურიანი საქმის პროკურორის, **მიხეილ სადრაძის** განმარტებით, საქმეზე არაერთი მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რაც აჩენს მოლოდინს, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი იქნება გამოტანილი.

დაცვის მხარე პროკურატურის შუამდგომლობას არ ეთანხება. ბრალდებულის ადვოკატის **ლევან მახარაშვილის** განმარტებით, რა ქმედების ჩადენასაც ბრალდებულს ედავებიან, დანაშაულს არ წარმოადგენს და ამის მტკიცებულებად დაცვის მხარემ სასამართლოში, ივანიშვილსა და გაჩიაშვილს შორის საუბრის აუდიოჩანაწერი წარადგინა. როგორც **ლევან მახარაშვილმა** ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, აუდიოჩანაწერში საუბარი კრედიტის დამტკიცების პირობებზეა.

„მესმის, რომ შინაარსი გაინტერესებთ, მაგრამ პროცესებს უნდა დაველოდოთ. არსებითი განხილვის დროს, როცა მტკიცებულებების გამოკვლევაზე გადავალთ, სრულად იქნება გამოქვეყნებული აუდიოჩანაწერი, შესაბამისად, ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ დანიშნა დაცვის მხარემ საზღვარგარეთ ექსპერტიზა, საქართველოში არსებულმა ყველაზე დიდმა საექსპერტო ბიურომ განაცხადა, რომ ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით მათ გააჩნდათ პრობლემები, რის გამოც იძულებული გავხდით, ექსპერტიზა ევროპაში დაგვენიშნა. ჩანაწერი, რომელიც საქმეში არსებობს, მტკიცებულებას წარმოადგენს. ჩანაწერი გაკეთებულია კრედიტის გაცემამდე და მასში საუბარია კრედიტის დამტკიცების პირობებზე“, – განაცხადა **ლევან მახარაშვილმა.**

ცნობილია, რომ ბრალდებულ გიორგი გაჩიაშვილის საქმეზე „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი **ბიძინა ივანიშვილი** სასამართლოში ჩვენებას, როგორც დაზარალებული მისცემს. საქმის პროკურორის **მიხეილ სადრაძის** განცხადებით, აბსოლუტურად ყველა პირი დაიკითხება, რომელიც მითითებულია სასამართლოში დასაკითხ პირთა სიაში. მისი თქმით, ყველა პირი დაიკითხება იმ საერთო წესების დაცვით, როგორც ხდება სასამართლოში დაკითხვა და ბუნებრივია, ის ინფორმაციას მიაწვდის სასამართლოს. რაც შეეხება მხარის მიერ წარმოდგენილ აუდიოჩანაწერს, რომელიც ადვოკატისა და ბრალდებულის მტკიცებით, ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი გაჩალიაშვილის საუბარს ასახავს, ავთენტურობის დასადგენად მათ ექსპერტიზა დანიშნეს.

„დადასტურებულია, კანონით გათვალისწინებული სტანდარტით, რომ ეს დანაშაული ბრალდებულმა გიორგი გაჩიაშვილმა ჩაიდინა, იმ მტკიცებულებით, რომელიც უამრავია და ზედმეტად მაღალი ხარისხით ადასტურებს. ჩანაწერის ავთენტურობა შესაბამისმა ექსპერტიზამ უნდა დაადასტუროს. ბუნებრივია, ამას სხვა უწყება ატარებს და კონკრეტულ ვადას ვერ გეტყვით. დაცვის მხარე თუ არ თვლის, რომ მის ავთენტურობაზე კითხვები არსებობს, მაშინ რატომ დანიშნა თავად ექსპერტიზა? ასევე, დაშვებაც რომ გავაკეთოთ, რომ ეს ჩანაწერი ავთენტურია, მისი შინაარსი პირიქით, ბრალდების ყველა კომპონენტის გამამყარებელია აბსოლუტურად ყველა გარემოებასთან მიმართებაში. ავთენტურობა უნდა დადგინდეს და ამის შემდეგ უნდა შემოვიდეს შეფასების კომპონენტი“, – განაცხადა **მიხეილ სადრაძემ.**

სასამართლო პროცესს ესწრებოდა თავად ბრალდებული **გიორგი გაჩიაშვილიც,** რომლის განცხადებით, უსამართლო პროცესი გრძელდება, რომელიც 1 წლის წინ დაიწყო და რომელსაც საფუძვლად მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ზეპირი ჩვენება უდევს. როგორც პროცესის დასრულების შემდეგ გაჩიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, დღევანდელი დღე ქართული სასამართლო სისტემისთვის სამარცხვინოა, რადგან მისი საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადაეცა.

„მთელი ცხოვრება ბიზნესში ვარ, ფინანსები მაქვს დამთავრებული და შემიძლია ძალიან მარტივად ვთქვა, რას საქმიანობს ინვესტორი. ამ საქმიანობას შენი და შენი კომპანიის სახელზე ახორციელებ. ცოტა გაოგნებული, გაკვირვებული ვისმენ ახლა პროკურორისგან, ყველაფერი, რაც საქართველოში და საქართველოს გარეთ ხდებოდა, ჩემს სახელზე იყო განხორციელებული. არ ვიცი ამ ყველაფრის წარმოჩენა როგორ შეიძლება, თითქოს, რაღაცას ვმალავდი. რაც შეეხება ინვესტორს, ჩემმა კომპანიამ „ქართუ ბანკიდან“ აიღო სესხი, ბანკის პროცენტები გავისტუმრე და ეს ურთიერთობა დავასრულე.

მხოლოდ ერთს ვიტყვი, ქართული სამართლის სისტემისთვის ეს არის სამარცხვინო. არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, არც ერთ დასავლურ ქვეყანაში მსგავსი საქმე არც კი იქნებოდა განხილვაში მიღებული. ეს პროცესი გადაიდო ზუსტად 4-ჯერ და ბოლო 9 თვის განმავლობაში პროკურატურამ ვერც ერთი მტკიცებულება ჩემს წინააღმდეგ ვერ წარმოადგინა. იმედს ვიტოვებ, რომ მოსამართლე სამართლიანი იქნება და ამ პროცესს შეაჩერებს. საქმე უნდა შეწყდეს, იმიტომ, რომ ვერანაირი მტკიცებულება პროკურატურამ ბოლო 9 თვის განმავლობაში ვერ წარმოადგინა“, – განაცხადა **გიორგი გაჩიაშვილმა.**

ბრალდებულ გაჩიაშვილის ინტერესებს ამ საქმეში ქართველ ადვოკატთან ერთად უცხოელი ადვოკატიც იცავს. **რობერტ ამსტერდამმა** ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს მომავალი არ ექნება, თუ ივანიშვილის მსგავსი ადამიანები ასეთი ადამიანების გასამართლებას შეძლებენ.

„შემიძლია გითხრათ, რომ ის, რაც დღეს ვნახე, ზიმბაბვეშიც შერცხვებოდათ, უგანდაშიც შერცხვებოდათ და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაშიც. არ მჯერა, რომ არსებობს ქვეყანა, რომელიც ამ სპექტაკლის გაგრძელებას დაუშვებდა. ამას სასულთნო უნდა ვუწოდოთ და არა დემოკრატია. ის, რაც ჩვენ დღეს ვნახეთ, წარსულის ძველი თამაშები იყო, რომლითაც ამ ქვეყნის ახალგაზრდებს სასამართლოს წინაშე აყენებენ.

საქართველოს მომავალი არ ექნება, თუ ივანიშვილის მსგავი ადამიანები ასეთი ადამიანების გასამართლებას შეძლებენ. გეტყვით, რომ ამ ქვეყანას მომავალი არ აქვს, თუ მსგავსი პაროდიების გაგრძელება მოხდება და დროა, ქართველები გამოფხიზლდნენ და გაიგონ, რომ დრო შეზღუდულია და ადვოკატის მიერ ასეთი პაროდიის ყურება სირცხვილია, აბსოლუტური სირცხვილია“, – განაცხადა **რობერტ ამსტერდამმა.**

თამთა ქარჩავა

რა კაპშირი აქვს კასეტას გიორგი სანაიას მკვლელობასთან?

„სანაიას მკვლელობამდე ორი დღით ადრე, „რუსთავი 2“-ის ეთერში ვიყავი... გადაცემის შემდეგ გიორგი სანაიამ რომ გამოგვაცილა, ლიფტში გვითხრა, რომ მას აქვს კასეტა, სადაც ჩანს, როგორ არიან ძალოვნები ჩართული ნარკობიზნესში და ამ საქმეს ერთ-ორ დღეში საჯაროზე გამოიტანდა“, – ეს განცხადება ჩეჩნური დიასპორის წევრმა, **მექა ხანგოშვილმა** პოლიტიკოს იაგო ხვიჩიას საავტორო გადაცემაში „საქართველოს დაბადება“ გააკეთა და პანკისის ხეობასა და ქისტებზე ისაუბრა.

„ჩეჩნეთის მეორე ომის დროს, დევნილებს უამრავი ადამიანი შემოჰყვა, მათ შორის კრიმინალებიც, ყველა პანკისის ხეობამ მიიღო. შემდეგ ყველაზე ცუდი, რაც იმ პერიოდში მოხდა, ხელისუფლების მხრიდან ადგილზე ბლოკ პოსტების ჩაყენება იყო, როდესაც კეთროვანივით მოწყვიტეს საქართველოს პანკისის ხეობა, საშვი თუ არ გექნებოდა, ვერ შეხვიდოდი. ეს წელიწადსა და ორ თვეს გაგრძელდა.

თან ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ თავად ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული ნარკოტიკებით ვაჭრობაში. სწორედ ამას შეეწირა გიორგი სანაია. ერთ-ერთი ნარკობარონის აფეთქება და ბევრი სხვა არასასიამოვნო რამ... ნარკოტიკი ჯერ პანკისის ხეობაში შემოდიოდა და შემდეგ იქიდან გაედინებოდა. პოლიციური წესრიგი როგორ იქნებოდა, ვინც თავს რკინის კაცად თვლიდა, ის მონაწილეობდა ამაში, ამას არ შეეწირა სანაია? თვითონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩადგეს ბლოკ პოსტები და უმართავ ზონად გამოაცხადეს“, – აღნიშნა **ხანგოშვილმა.**

წამყვანის დასმულ კითხვაზე, რა მტკიცებულება ჰქონდათ იმისთვის, რომ ჩინოვნიკები იყვნენ ჩართული, ხანგოშვილმა შემდეგნაირად უპასუხა: **„სანაიას მკვლელობამდე ორი დღით ადრე, „რუსთავი 2“-ის ეთერში ვიყავით მიწვეული მე და ხიზრი ალდამოვი.**

გადაცემის შემდეგ გიორგი სანაიამ რომ გამოგვაცილა, ლიფტში გვითხრა, რომ მას აქვს კასეტა, სადაც ჩანს, როგორ არიან ძალოვნები ჩართული ნარკობიზნესში და ამ საქმეს ერთ-ორ დღეში საჯაროზე გამოიტანდა, თუმცა რაც მოხდა, თქვენც იცით. თუმცა მე ის კასეტა არ მაქვს ნანახი.“ – თქვა მექა ხანგოშვილმა.

სამართალდამცველი ცოლზე ძალადობდა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ, ძალადობის, მუქარისა და იძულების ფაქტებზე, დაკავებულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის უფროსი ინსპექტორი პ.გ.

2023 წლის ოქტომბრის თვეში ნასვამ მდგომარეობაში, პ.გ.-მ, ქ. ზესტაფონში, სამსახურში მიაკითხა მეუღლეს, ჩაისვა ავტომანქანაში და ეჭვიანობის ნიადაგზე ფიზიკურად იძალადა. აღნიშნულის შემდეგ იგი დაზარალებულს ავტომანქანის დაწვით და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. იმავე დღეს, სახლში დამრუნებისას, პ.გ-მ, მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ, თითქოსდა მისი დამშვიდების მიზნით, ფიზიკური ძალის გამოყენებით, რამდენიმე აბი წამალი დაალევინა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებული მეუღლეზე არასრულწლოვნის თანდასწრებითაც ძალადობდა.

გამოძიება მყისიერად დაიწყო. მოიპოვეს სამართალდამცავის დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებები, რის შემდეგაც სასამართლოს განჩინების საფუძველზე იგი დააკავეს.

ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲐᲞᲣᲜᲘᲫᲔ – 80

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 2 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 80 ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ 50 ᲬᲔᲚᲘ ᲣᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲕᲠᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲐᲞᲣᲜᲘᲫᲔᲡ.



გურამ პაპუნიძე დაიბადა 1944 წლის 2 აპრილს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1961 წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1970 წელს დაამთავრა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში (1964-1967 წ.წ.) ბატონმა გურამმა მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1970 წელს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ანდრო ნიჟარაძის რეკომენდაციით მან მუშაობა ამავე ინსტიტუტში დაიწყო.

გ. პაპუნიძემ 1974 წელს ჩააბარა საკონკურსო გამოცდები და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეღვინეობის კათედრის ასპირანტურაში ჩაირიცხა. 1979 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა.

1979 წლიდან გურამ პაპუნიძის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყო, როდესაც აკადემიკოს სერგი დურმიშიძის და სხვა მევენახეობა-მეღვინეობის გამოჩენილი მეცნიერების იდეებზე აღზრდილი მეცნიერის, პროფესორ ანდრო ნიჟარაძის გადაწყვეტილებით და ამავე ინსტიტუტის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელის, ცნობილი კონსტრუქტორის ელგუჯა შველიძის რეკომენდაციით, თავის მშობლიურ მხარეში, აჭარაში დაინიშნა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორად.

1980 წელს, როდესაც საკავშირო სამთავრობო სტრუქტურების გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა საკავშირო და რესპუბლიკური ხილ-ბოსტნეული მეურნეობის სამინისტრო, სხვა სტრუქტურებთან ერთად მასში გაერთიანდა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალიც. როგორც წესი, ფილიალი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა, თუმცა იმ დროს ძალზე რთული, მაგრამ სხვა უფრო პროგრესული გზაც არსებობდა – ფილიალის ბაზაზე დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნა.

ბატონი გურამ პაპუნიძის მოღვაწეობის დახასიათებისას ოდენ ისიც კმარა, რომ მან აირჩია სწორედ ყველაზე რთული გზა – ბათუმის ფილიალის ბაზაზე ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

პროფესორ ანდრო ნიჟარაძის ინიციატივით ბატონმა გურამმა მჭიდრო კონტაქტები დაამყარა მოსკოვში მოღვაწე ცნობილ მეცნიერებთან, მათ შორის პროფესორებთან: კ. ჯმუხაძესთან, ი. მეტლიცკისთან, ა. ბაგატარიოვთან და სხვ., ასევე თბილისში მოღვაწე შესანიშნავ მეცნიერთან, პროფესორ გოგი მაყაშვილთან.

1981 წელს სსრკ-ის მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით და ხილ-ბოსტნეული მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით, ზემოთ აღნიშნული ბათუმის ფილიალის ბაზაზე შეიქმნა სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ- საკონსტრუქტორო ინსტიტუტი, რომლის დირექტორადაც დაინიშნა გურამ პაპუნიძე.

გ. პაპუნიძის ხელმძღვანელობით დამუშავდა დარგში არსებული ისეთი რთული საკითხი, როგორიც გახლდათ სუბტროპიკული ნედლეულის კომპლექსური უნარჩენო ტექნოლოგიების შემუშავება; მან, პირველად სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის (მანდარინი) სამრეწველო გადამუშავების ისტორიაში, წარმოებაში დანერგა მანდარინის ნატურალური წვენიდან კონცენტრატის დამზადების ტექნოლოგია. ხაზგასასმელია, რომ საწარმოო პროცესში გამოყენებული იქნა მოქმედი ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარები, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა და გააიაფა აღნიშნული სიახლის ფართო მასშტაბით დანერგვა. სუბტროპიკული კულტურების ნედლეულიდან პროდუქციის მიღების უნარჩენო და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების დანერგვამ უზრუნველყო მაღალი ეკონომიკური ეფექტი. მისი გამოყენებით გასული საუკუნის 80-იან წლებში ყოველწლიურად ხორციელდებოდა 100 ათასობით ტონა მანდარინის გადამუშავება.

აკადემიკოს გ. პაპუნიძის მიერ წარმატებით იქნა დამუშავებული და წარმოებაში დანერგილი მანდარინის ნატურალური წვენების დამზადების შემდეგ წარმოქმნილი ნარჩენების (ე. წ. მეორადი ნედლეულის) გამოყენების ტექნოლოგიებიც. წვენების წარმოების პროცესში მეორადი ნედლეულის გამოყენებამ, რომლის მოცულობა 60%-ს აღემატება, მნიშვნელოვნად გაზარდა წარმოების რენტაბელობა. ბატონ გურამ პაპუნიძის ხელმძღვანელობით შემუშავებული იქნა ტექნოლოგია, რომლის გამოყენებითაც ნარჩენების გადამუშავებით კომპლექსურად მიიღება სამედიცინო პრეპარატი ვიტამინი P და პექტინი, ასევე ე. წ. კონდირებული პროდუქტი (ცუკატის ტიპის შაქრით გაჯერებული პროდუქტი), რომელიც თავისუფლად ცვლის ყურძნის ქიშმიშს და წარმატებით გამოიყენება საკონდიტრო და ნაყინის წარმოებაში.

ზემოთ აღნიშნული გამოკვლევების საფუძველზე, 1996 წელს, გურამ პაპუნიძემ ციტრუსების ნედლეულის სამრეწველო გადამუშავების მეცნიერული საფუძვლებისა და საწარმოო ათვისების პრობლემებზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1998 წელს გ. პაპუნიძე არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2013 წელს კი ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

ბატონი გურამის ხელმძღვანელობით მოხერხდა ციტრუსის ყვავილის, როგორც არატრადიციული მცენარეული ნედლეულის სამრეწველო გადამუშავება. ყვავილის ნედლეული მდიდარია სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური და არომატული ნივთიერებებით. შემუშავებული ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული იქნა წყლიანი არომატული ექსტრაქტები, რომლის ბაზაზეც დამზადებული იქნა სასაქონლო ვაჟინი, უალკოჰოლო გაზირებული სასმელი „არომატული,“ ხელოვნური თაფლი, ორიგინალური გემური მახასიათებლის ლიქიორი და სხვ.

აკადემიკოს გ. პაპუნიძის და მეცნიერთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოში „სტევიას“ კულტურის გავრცელებისა და შემდგომი გამოყენება. ამ მიმართებით 2000 წელს გურამ პაპუნიძის ხელმძღვანელობით შემუშავებული იქნა პროექტი, რომელმაც კონკურსში გამარჯვება მოიპოვა და მსოფლიო ბანკის დაფინანსება მიიღო. „სტევიას“ ნედლეულის ბაზაზე მიღებული იქნა როგორც წყლიანი, ასევე მშრალი ექსტრაქტიც, ე. წ. დამატკბობელი, ,,სტევიოზიდი“, რომლის შაქრიანობა 100-300-ჯერ აჭარბებს ჩვეულებრივი შაქრის სიტკბოს, თუმცა ნაკლებკალორიულია.

მნიშვნელოვანია გ. პაპუნიძის, როგორც მეცნიერისა და ხელმძღვანელის ღვაწლი და ამაგი აჭარაში ფართომასშტაბიანი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის, ტრადიციული და ისტორიული დარგის – მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინების საქმეში.

ბატონი გურამი მუდმივად ეცნობა ევროპისა და სხვა მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას. სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაზიარების მიზნით იგი ეწვია კუბის რესპუბლიკას, აშშ-ს კალიფორნიის ქალაქ დევისს, რომლის საპატიო მოქალაქედ იქნა არჩეული. აკად. გ. პაპუნიძე ასევე არაერთგზისაა ნამყოფი საბერძნეთის, ყოფილი საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. აღსანიშნავია, ისიც რომ ბატონი გურამის მოწვევით, თავის მხრივ, საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვანი მეცნიერებიც სტუმრობენ აჭარას.

გურამ პაპუნიძე დაჯილდოებულია ბუნებისგან უხვად მომადლებული ორგანიზატორული ნიჭით, უშრეტი ენერგიით, მიზნის მიღწევისაკენ დაუოკებელი სწრაფვით. სწორედ აღნიშნული თვისებების და უდიდესი შრომისმოყვარეობის შედეგია ის, რომ როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საკავშირო უწყებებზე დაქვემდებარებული „უმეთვალყურეოდ“ დარჩენილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათ შორის სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩდა, ბატონი გურამის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში განხორციელდა სტრუქტურული და ფუნქციური გარდაქმნები, რის შედეგადაც წარმატებით გაგრძელდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

ახლო წარსულში, ერთიანი ნაციონალური ხელისუფლების პერიოდში, განათლებისა და მეცნიერების სფეროში რესპუბლიკაში განხორციელებულმა არასწორმა რეფორმამ, ვოლუნტარიზმმა და სუბიექტივიზმმა სავალალო მდგომარეობა შეუქმნა სამეცნიერო- კვლევით ინსტიტუტებს.

მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდა საკავშირო დაქვემდებარების ბათუმის მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იგი ერთადერთი იყო საქართველოში, რომელიც ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევებს აწარმოებდა სხვადასხვა მიმართულების მემბრანული ტექნოლოგიის საკითხებზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის ხელშეწყობით საკავშირო დაქვემდებარების ზემოაღნიშნული ორი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შერწყმის შედეგად შეიქმნა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ამჟამად აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე გახლავთ.

გურამ პაპუნიძის უშუალო ჩართულობითა და ბათუმ-ლაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით უნიკალური ქართული ღვინოების პოპულარიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ტარდება ოჯახში ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადებული ღვინოების ფესტივალი, რომლის უცვლელი სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ბატონი გურამი ბრძანდება.

აკადემიკოს გ. პაპუნიძეს გამოქვეყნებული აქვს 170-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია. იგი 12 გამოგონების ავტორია.

1990 წლის ოქტომბერში, პირველ მრავალპარტიულ არჩევნების დროს გ. პაპუნიძე გახდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი. მას ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. ბატონი გურამი დაჯილდოებულია აჭარის ა/რ საპატიო სიგელით, არის ქედის საპატიო მოქალაქე.

აკადემიკოსი გ. პაპუნიძე ტრადიციული ქართული ოჯახის მამა და ბაბუაა. ჰყავს მეუღლე – ლიანა მიქელაძე, ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

გამოვხატავთ რა განსაკუთრებულ სიყვარულს და პატივისცემას, ბატონო გურამ, გულითადად გილოცავთ ღირსეულ მამულიშვილსა და აღიარებულ მეცნიერს დაბადების მე-80, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲪᲐᲑᲘᲫᲔ: ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲖᲔ!..

რუსთავის მერიამ კამპანია „თაობა მომავლისთვის“ ფარგლებში, რეგიონული ახალგაზრდული ქსელი შექმნა. პროექტი, რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის კონტაქტების დამყარებას, მუნიციპალიტეტებში დანერგილი სიახლეებისა და მიმდინარე პროექტების გაცნობას ისახავს მიზნად.

პროექტის პირველ ეტაპზე, რუსთავის მერიის ახალგაზრდულმა დეპარტამენტმა, ქვემო ქართლის 6 მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თანატოლებს უმასპინძლა.

„ახალგაზრდულმა პროექტმა „თაობა – მომავლისთვის“, რომლის ფარგლებში, ორი წლის განმავლობაში, ძალიან ბევრ რუსთაველ ახალგაზრდას შევხვდით, გაფართოვდა და რეგიონული მასშტაბი შეიძინა. ამ პროექტის ახალ ეტაპზე უკვე რეგიონების ახალგაზრდებს ვუმასპინძლებთ. დღეს ქვემო ქართლის რეგიონიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს შევხვდით, ვისაუბრეთ არსებულ გამოწვევებზე და იმ იდეებზე, რომელიც ჩვენი ქალაქების, მუნიციპალიტეტებისა და ქვეყნის განვითარებისთვის გვინდა, რომ ყველამ ერთად განვახორციელოთ“, – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

ორი დღის განმავლობაში, ახალგაზრდებმა, რუსთავის მუნიციპალური სერვისების ახალი ცენტრი, მედიათეკა, ნიჩბოსნობის სკოლა, სპორტის სასახლე, ქალაქის ისტორიული მუზეუმი, ოქსიგენის საფესტივალო სივრცე და იპოდრომი დაათვალიერეს.

ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲡᲣᲚᲝᲑᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ...

ᲜᲣᲗᲣ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲛᲔᲜᲘᲐ ᲐᲚᲔᲜ ᲓᲐᲚᲔᲡᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲠᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ?!

საქართველოს ისტორია მეორდება, დღევანდელი საქართველო გაივსო თანამედროვე შადიმან ბარათაშვილებით, მისი მსგავსი მიმდევარი სამშობლოს გამყიდველებით. ოთხმოციანი წლების ბოლოს და ოთხმოცდაათიანების დასაწყისში დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთ განვითარებულ და აყვავებულ ქვეყანაში დაიწყო ხალხის ძარცვარბევა: დაშალეს მძლავრი ფაბრიკა-ქარხნები და საწარმოები, დახსნეს დანადგარები და მაშინდელ გაჭირვებულ თურქეთში ჯართად გაზიდეს, რის შემდეგაც თურქეთი მოფერიანდა და დღეს ერთობ წარმატებული ქვეყანა გახდა. შეიძლება შემომედავოთ, რომ თურქეთს არაფერი უჭირდაო, მაგრამ მოგაგონებთ, რომ გარდა ქარხნების ჯართად ჩაბარებისა, ოთხმოციანი წლების ბოლოს ქართველ ქალებს თურქეთში გასაყიდად მიჰქონდათ ძველი, გამონაცვალი ტანსაცმელიც, საყოფაცხოვრებო ნივთებიც, ის, რაც აღარ სჭირდებოდათ.

ჩაბარებული ჯართით მარტო თურქეთი და საბერძნელი კი არ გაამდიდრეს, არამედ, თვითონაც გამდიდრდნენ და შეძლებულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ.

ახლა გაზეთებიდან და ტელევიზიიდან ისმის რუსეთის ლანძღვაგინება (განსაკუთრებით „ნაცმოძრაობის“ და მისი თანაკომპანიონების მხრიდან), სამაგიეროდ სწორედ მათ რუსეთს მიჰყიდეს ყველაფერი ის, რისი დანგრევაც ვერ შეძლეს. 14 ჰესი, სასმელი წყალი, ელმავალვაგონმშენებელი, ზესტაფონის ფეროშენადნობი და ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნები, დაახლოებით 60-მდე მსხვილი წარმოება-დაწესებულება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავისი ნამდვილი სახეები გამოაჩინეს შევარდნაძის ზურგსა და ნაყიდი კომუნისტური პარტიის ბილეთების უკან ამოფარებულმა, გაზულუქებულმა და გაუმაძღარმა მედროვეებმა, ისეთებმა როგორებიც არიან ხაზარაძეები, ბურჯანაძეები, ჭყონიები და ბევრი სხვა მათი მიმდევრები, პირადი გამდიდრების მიზნით სამშობლოს მოღალატეები.

ესენი არიან ხალხი, რომლებიც დღეს ვითომ დემოკრატიის, მაგრამ უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, დემაგოგიის დასამკვიდრებლად და ხელისუფლებაში მოსასვლელად იბრძვიან მხოლოდ თავიანთი კეთილდღეობისათვის, რომელთაც ქვეყნის ბედი არ ადარდებთ. მათნაირი მედროვეების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგან ბევრნი არიან, რომლებიც პარტიიდან პარტიაში დარბიან, ვითომ ქვეყნის სასიკეთო საქმის საკეთებლად, სინამდვილეში ოდენ თავიანთი პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნავენ, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, გედი ფოფხაძე, ეკა ბესელია, რომან გოცირიძე, მამუკა ხაზარაძე, გვარამია, მელია, გახარია და ბევრი სხვა მოღალატე, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგან ბევრნი არიან, – ჩვენი ქალბატონი პრეზიდენტის ჩათვლით. ეს ის ხალხია, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის საგარეო სამსახურის მეთაურის ალენ დალესის მიერ შემუშავებულ გეგმის პრაქტიკული აღსრულებისათვის დღენიადაგ ზრუნავენ.

შეგახსენებთ, თუ რას წერდა ალენ დალესი:

საბჭოთა კავშირში დავთესავთ ქაოსს და გავუყალბებთ მათ ფასეულობებს და იძულებელვყოფთ ირწმუნონ ჩვენი შეხედულებები. ამისთვის მოვძებნით თანამოაზრეებს, მოკავშირეებსა და დამხმარებებს.

ერთმანეთის მიყოლებით გათამაშდება უდიდესი უბედურება დედამიწის ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის თვითშეგნების საბოლოო და შეუქცევადი გაქრობისათვის.

სახელმწიფო მმართველობაში შევქმნით ქაოსსა და გაუგებრობას, შეუმჩნევლად, მაგრამ გამძაფრებულად და მუდმივად შევუწყობთ ხელს მოხელეთა და მექრთამეთა თვითნებობას, უზნეობას. თავხედობა და საქმეთა გაჭიანურება აყვანილი იქნება სათანადო სიმაღლეზე.

პატიოსნება და წესიერება წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა, გამასხარავდება და აღარავის დასჭირდება. უზნეობა და თავხედობა, ცილისწამება და ტყუილი, ლოთობა და ნარკომანია, ერთი მეორის ცხოველური შიში და ურცხვობა, გამცემლობა და გაუტანლობა ერთა შორის, აღმსარებლობათა შორის და თაობათა შორის მტრობა. ყოველივე ამას ოსტატურად და შეუმჩნევლად დავნერგავთ, ეს ყველაფერი აყვავდება.

მხოლოდ ცოტანი, ძლიერ მცირენი თუ მიხვდებიან და გაიგებენ იმას, რაც ხდება, მაგრამ მათ უმწეო მდგომარეობაში ჩავაგდებთ, ხალხის სამასხარაოდ გავხდით, გამოვძებნით ხერხს, რათა მათ ცილი დასწამონ და გამოაცხადონ საზოგადოების ნაძირლებად. ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანთა გარყვნისათვის ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან, ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვისყიდოთ და გავხრწნათ ისინი.

ახალგაზრდებისაგან შევქმნით ზნედაცემულ, სულიერებისგან დაცლილ ჯაშუშებსა და მოღალატეებს.“

* * *

ᲐᲚᲔᲜ ᲓᲐᲚᲔᲡᲘᲡ ეს იდეები დღეს ხორცს ისხამს. თანამედროვე ალენ დალესები არწმუნებენ მათდამი მორჩილ საქართველოში არსებულ მრავალრიცხოვან რადიკალურ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც როგორც თვალნათლივ ვხედავთ, არანაირ მონაწილეობას არ იღებენ საპარლამენტო მუშაობაში, არანაირი დადებითი წინადადება ან პროექტი არ შეუტანიათ ევროპარლამენტის 12-პუნქტიანი დავალების შესასრულებლად. თვალნათლივ ვხედავთ, როგორი თავგანწირვით იბრძვიან ლგბტეს პროპაგანდის საწინააღმდეგო საპარლამენტო კანონის არ მიღებისათვის. საერთოდ არ ზრუნავენ მომავალი თაობის განათლების დონის ამაღლებისათვის.

სამაგიეროდ თითქმის ყოველდღე ისმის მათი ომახიანი ხმა: – ხელისუფლება არ ზრუნავს განათლების სისტემის სრულყოფისათვის, უმუშევართა დასაქმებისთვის, ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის, ემიგრანტთა დაბრუნებისთვის და სხვ. არადა, ამ პრობლემათა ჩამოყალიბება-განვითარებაში თვით ოპოზიციურ პარტიებს „ლომის წილი“ უძევთ და ახლა ხელისუფლებას ამუნათებენ!..

მიმდინარე წელს საპარლამენტო არჩევნებია. ქართველი ამომრჩეველი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგას. ამომრჩეველს უნდა მკაფიოდ ავუხსნათ, თუ რა დილემისა და მრავალი პრობლემის წინაშეა ჩვენი ქვეყანა, კარგად ვხედავთ, რა ძნელია მშვიდობის შენარჩუნება, როგორ თავისუფლად და თავხედურად დასეირნობენ ევროპის ქვეყნებში წინა ხელისუფლების ცალკეული დამნაშავე მაღალჩინოსნები (კეზერაშვილი, ადეიშვილი და სხვები), როგორ ითხოვენ ქვეყნის წინაშე დამნაშავე საპაკაშვილის განთავისუფლებას. არასამთავრობო ორგანიზაციების თავგასულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მხარდაჭერილები ყოვლად უზნეოდ და უკანონოდ მოქმედებენ. მათ უხვად აფინანსებენ ჩვენი ქვეყნის დასანგრევად და გასანადგურებლად. დროა, ამ ადამიანებს ერთხელ და სამუდამოდ მკაცრად მოვთხოვოთ პასუხი.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ,
პენსიონერი.
ᲑᲐᲖᲔᲗ „ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ

პარასკევს სომხურმა ბანკებმა განაცხადეს, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის გამო დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების გათვალისწინებით, რუსულ „მირ“-ის გადახდის ბარათებზე ტრანზაქციების დამუშავებას აჩერებენ. 2022 წლის სექტემბერში, აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტი უცხოურ ბანკებს, მათ მიერ რუსული გადახდის სისტემა „მირ“-ის ბარათების მომსახურების შემთხვევაში, მეორადი სანქციებით დაემუქრა.

მიმდინარე წლის თებერვალში სახაზინო დეპარტამენტის საგარეო აქტივების კონტროლის ოფისმა განაცხადა, რომ რუსეთი ამ სისტემას დასავლური სანქციების გვერდის ასავლელად იყენებს. ამ განცხადებაზე ოფიციალური ერევნის რეაგირება კი სომხეთის ბანკების გაერთიანების განცხადებაში აისახა, რომლის თანახმად, „მეორადი სანქციების რისკის გამო, ქვეყნის კომერციული ბანკები შაბათიდან „მირ“-ის ბარათების მომსახურებას აჩერებენ“.

გამონაკლისი მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო ბანკის, „ვითიბის“ სომხური ფილიალის მიერ გაცემული „მირ“-ის ბარათებზე იქნება დაშვებული. „მირ“-ის ბარათების გამოყენებაზე უარი სომხეთსა და რუსეთს შორის დიპლომატიური უთანხმოების სერიალის ბოლო ეპიზოდად იქცა. გარდა ამისა, პარასკევს მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სომხეთი დაბლოკავს რუსი ტელეწამყვანის, ვლადიმერ სოლოვიოვის გადაცემის ტრანსლირებას, რომელსაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი „კრემლის ყველაზე ენერგიულ პროპაგანდისტად“ მოიხსენიებს.

მიუხედავად მოსკოვის გაფრთხილებისა, ქვეყანა ასევე ოფიციალურად შეუერთდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) და ახლა მას, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის დაპატიმრება მოეთხოვება, თუ ის სომხეთის ტერიტორიაზე დაადგამს ფეხს.

25-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲜᲰᲔᲢᲔᲜᲘᲡ სასამართლომ, კრიპტოვალუტის ერთ-ერთი უმსხვილესი ბირჟის FTX-ის დამფუძნებელ, სემ ბენკმანფრიდს, ფინანსური თაღლითობის ორგანიზებისთვის, 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ფრიდმა კლიენტებისგან 8 მილიარდი დოლარი მიითვისა.

განაჩენის გამოცხადებამდე, მოსამართლე ლუის კაპლანის განცხადებით, არსებობს რისკი, რომ „ამ კაცს (ფრიდს) მომავალში რაიმე ძალიან ცუდის გაკეთება შეეძლება და ეს არ არის ტრივიალური რისკი.“ მოსამართლე ასევე, დაეთანხმა პროკურორების განცხადებას, რომ ფრიდს „სურდა ყოფილიყო უაღრესად, პოლიტიკურად გავლენიანი პიროვნება ამ ქვეყანაში“, რამაც მისი ფინანსური დანაშაული გამოიწვია. პატიმრობის გარდა, კაპლანმა ასევე გრძანა 11,02 მილიარდი დოლარის ჩამორთმევა. 2019 წელს დაარსებული ბირჟა FTX 2022 წლის ნოემბრისთვის 32 მილიარდ დოლარად შეფასდა.

„ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲭᲐᲠᲛᲐᲒᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲮᲜᲘᲡ“...

ᲡᲣᲚᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲔᲡᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ ᲪᲔᲖᲐᲠ ᲚᲐᲨᲮᲘ – ᲓᲘᲓᲘ ᲛᲒᲝᲡᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ 85 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲮᲔᲚᲔᲬᲘᲤᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ:

დილაუთენია გავიდეს ვენახში სასხლავით, თოხით, შესაწამლი აპარატით ხელში და გვიან საღამომდე ეფეროს, ელოლიავოს ვაზს, შემდეგ კი მდელოზე სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე მიიპატიჟოს მეზობლები.

ღამეები ათიოს საინტერესო წიგნების კითხვაში, ფილმების, სპორტული ღონისძების ცქერაში;

შეუსვენებლად აიაროს მისი მურმან ლეგანიძისეული გაგების („ოი მამულის სიყვარულო, გერქვას წამება“) ერთგვარი „ვია დოლოროსა“ – ციცამო აღმართი სახლიდან მოდინახის ციხის თხემამდე – საიდანაც ხელისგულივით მოჩანს მთელი საჩხერე;

ამ ფირუზისფერი ცის მაღალი ლაჟვარდიდან აუხსნას ყველა დაინტერესებულს საჩხერის წარსული და აწმყო; „აი, მდინარე ყვირილა. ეს კიდევ პატარა დუნთურა, ესეც ნაჩერქეზევი. გაღმით საირხის ისტორიული სამაროვანი, ჩვენს ახლოს კი ასევე უძველესი არქეოლოგიური კერა – მოდინახის შემოგარენი“ და ასე შემდეგ.

დაეჯერება კიდეც – აქ, მშობლიურ საჩხერეში ხომ იშვიათად თუა რამე ისეთი, მას რომ წვლილი არ ედოს, როგორც ცხოვრების მრავალსაფეხურგავლილს რიგითი პედაგოგებიდან მუნიციპალიტეტის გამგებლობამდე...

საიდან ასეთი თავდადება, ასეთი ქმედება, ასეთი ენციკლოპედიური ცოდნა და მისი სიკეთეებად გარდაქმნის უნარი?

საიდან და ქრთული თუ გაქართულებული მაქსიმადან: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ“.

აი, არასრული ჩამონათვალი: როინ მეტრეველი, ანზორ ასათიანი, ზურაგ რატიანი, გურამ დოჩანაშვილი, ვლადიმერ (ვოვა) სიხარულიძე, ზეგედე შატბერაშვილი, ზურაგ მაჩაიძე, ნათელა ვაჩნაძე, შოთა ბადრიძე, დიმიტრი ლეთოდიანი, უშანგი მდინარაძე, სოსო კვიციანი, ავთანდილ ჭოწკოლაური, იოსებ ფეერხული, თემურ ფანჯიკიძე, ქეთევან რამიშვილი, მანანა შილაკაძე, გულიკო გოგნიაშვილი, ნონა რაფავა, ნინო ლოლუა და მთლიანად 1962 წლის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები.

მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლეგანიძე, თამაზ წივწივაძე, ნიკოლოზ კურტანიძე, ძმები ჯურხა, ასან, ელდარ ნადირაძეები, თომა იაშვილი, იუზა ჩხეიძე, ბორის საყვარელიძე...

მართალია, ბევრი მათგანი ხელიდან შემოეცალა, მაგრამ მათი სულები არ აძლევენ სხვაგვარად მოქცევის უფლებას.

და თუ ხსენებული მაქსიმის პერიფრაზირებას მოვახდენთ – „მითხარი, როგორია შენი ოჯახი და გეტყვი, როგორი ხარ შენ“ – კიდევ საიდან და ტრადიციული ქართული ოჯახიდან: შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი ზოია, ოთხი შვილი, მრავალი შვილიშვილი და შვილთაშვილი. დიდებს უკვე გაკვლეული აქვთ მამისა და ბაბუის წესით ცხოვრების გზა, პატარებს ახლა მოძღვრავს ამ გზისგასაკვლევად.

მაგრამ სულ სხვა სულიერი სიმაღლით გამორჩეული უფროსი ვაჟი, ოჯახის (ალბათ, სრულიად საქართველოსიც) მუდმივი ღია ჭრილობა და სიამაყე – მეგობრის გადარჩენის მცდელობისას ტრაგიკულად დაღუპული ლაშა ლაშხი!..

გაუძნელდა, თუმცა მოულოდნელი მეხის დაცემასაც გაუძლო, ოღონდ ლაშას ხსენება არ შეუძლია უცრემლოდ.

ცეზარ ლაშხი-ს.ს.ი.პ. **„სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის“ დირექტორი:**

„სად არ მიმუშავია, მაგრამ ამაზე ღირსეული სამსახური არ არსებობს“.

მართალიცაა – აქ ხომ აკაკია... ილიასთან ერთად საქართველოს თანამდევი უკვდავი სული!

ახალ გარემოსთან ადაპტაცია არც დასჭირვებია, ეს ხომ მანამდეც იყო მისი საახლობლო და სამზრუნველო. ერთ პერიოდში მუზეუმის გაზეთ „ჩონგურსაც“ კი აფინანსებდა საკუთარი სახსრებით.

თანამშრომელთა თანადგომითა და ქველმოქმედთა დახმარებით შეძლო: კეთილმოეწყო სასახლე, დამხმარე ნაგებობები, კარის ეკლესია, ეზო-კარმიდამო;

გამოეცა მგოსნის რამდენიმე წიგნი და ცალკეული ნაწარმოებები;

ემასპინძლა ჭიათურა-საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი დანიელის მიერ დაწესებული ტრადიციადქცეული სახალხო მსვლელობისთვის საჩხერის რკინიგზის სადგურიდან მუზეუმამდე;

ემრავლებინა მუზეუმის ეზოში აკაკის ცხოვრება-შემოქმედების პოპულარიზაციისთვის გამიზნული ლიტერატურული, მუსიკალური, თეატრალური, კალიგრაფიული, რელიგიური ღონისძიებები;

ამავე მიზნით დაეარსებინა პრემია „სხვიტორი“, რომლის თანხებიც მუნიციპალური ბიუჯეტიდან იცემა. მარტო ის რად ღირს, რომ მუზეუმმა ორჯერ ისტუმრა მისი უწმინდესობა და უნეტარესობა,საქართველოს პატრიარქი ილია მეორე!

მრავალთაგან ერთი ზოგადსაზოგადოებრივი საზრუნავიც გასჩენია: გადაარჩინოს გადაშენების პირას მდგარი უნიკალური ქართული ხის ჯიში, უთხოვარი.

31 მარტს ცეზარ ლაშხის დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო დღეა.

ხვალ კი იგი ჩვეული ენერგიით აუყვება თავის კიდევ ერთ „ვია-დოლოროსას“ – აღმართს სხვიტორის საავტომობილო გზიდან მუზეუმამდე.

დალოცვილ იყოს აკაკის „აღმართ-აღმართ“ შენი სიარული, ბატონო ცეზარ.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲚᲘ“.

◎ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲬᲣᲮᲡ!

ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ



ᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲛᲐ ᲐᲛᲒᲐᲕᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲬᲔᲠᲘᲜᲐ. ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑ ᲓᲐ ᲨᲐᲒᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲔᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ.

შალვამ (ჩემმა უმცროსმა შვილმა) მოსაკითხავთა შორის მომცრო მინის ქილით თაფლი მომიტანა. გამიკვირდა, მე ხომ ფუტკარი ჩემი მყავს და ეს ნაყიდი რად გინდოდა-მეთქი. წაიკითხე ვისი გაკეთებულია და გაგიხარდებაო. ქილაზე დატანებულ ეტიკეტზე წავიკითხე, რომ შიგთავსი დამზადებული იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაპანაში. ეს ხომ ჩემი სოფლის მოსაზღვრე სოფელია, რომლის თითქმის ყველა მცხოვრებს ვიცნობდი.

დავრეკე ლანჩხუთში. მყავს მე ქვიანში ჩემი საყრდენი კაცები – გელა ფირცხალაიშვილის, სამსონ მათითაიშვილის, ჯონი დოლიძისა და კიდევ ორი-სამი კაცის სახით. ამიხსნეს, რომ თაფლს სოფელ ჯაპანაში ამზადებს ჩემთვის უცნობი, აფხაზეთიდან ადგილნაცვალი პირი. გამიხარდა, რომ მას ამ საქმით რამდენიმე ადგილობრივი ჰყოლია დასაქმებული. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

დავრეკე ისევ ლანჩხუთში და იქ ნუ გაგიკვირდებათ და რაიონული მასშტაბის გაზეთი გამოდის. უყურადღებობად მივიჩნიე, რომ არსებული ფაქტის შესახებ არც ერთს არ უსაუბრია მკითხველთან. არადა, ხსენებული გაზეთები არაუშავს რა ტირაჟით გამოდის. ამჯერად მკითხველს შევახსენებ, რომ შემთხვევამ, როგორც უპირველეს აღვნიშნე, წარსული გამახსენა. მე-19 საუკუნის შესანიშნავ მწიგნობარსა და მოგზაურს, მეცნიერ თედო სახოკიას თავის წიგნში ,,მოგზაურობანი“, აღნიშნული აქვს ლანჩხუთში მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის ამხანაგობების არსებობა. ამ საკითხთაგან ერთ-ერთზე, მეაბრეშუმეობაზე მინდა შევაჩერო ყურადღება, რადგან ჩემს ბავშვობაში დიდი დრო მაქვს დანათმობი ამ დარგისთვის.

მეაბრეშუმეობა, მოგეხსენებათ, ჩინეთიდან მოდის და დიდი ისტორია გააჩნია. მე იმის შესახებ მოგითხრობთ, რაც თავად მინახავს და განმიცდია. დედაჩემი მოწინავე მეაბრეშუმედ ითვლებოდა და 100-120 კგ ხარისხოვან პარკს აბარებდა ყოველწლიურად. ჩვენ, ბავშვები, დაუზარელად ვეხმარებოდით დედას, ე. წ. ყაჭის გადასმაში, დაპურებაში, სადგარების მოწყობაში, საკვებით უზრუნველყოფაში და ა. შ...

აბრეშუმის პარკი ჩვენთვის თავის გატანას, საარსებო თანხის მოპოვებას ნიშნავდა. ცალკე ვინახავდით 20-25 კგ ხარისხიან პარკს, რომელიც მიგვქონდა დედაჩემის დედულეთში, სოფელ ბერძნისწყაროში, სადაც დიდ ბებიას, მართა რამიშვილ-ძნელაძისას გამართული ,,დგამსავარცხელი“ ჰქონდა. ეს არც თუ რთული კონსტრუქციის საქსოვი დაზგა აბრეშუმის სრიალა ფართალს ქსოვდა.

ერთი საუკუნის წინ, თურმე, ასეთი „დგამსავარცხლები“ გურიის თითქმის ყველა ოჯახში ედგათ. გურული მანდილოსნები შესანიშნავი მქსოველები ყოფილან. ასე წერს ბატონი თედო სახოკია.

ამ დანადგარების ნაწილებს ბავშვობაში ხშირად წავწყდომივარ ახლობელთა ოჯახებში. ამ ფართლისაგან შეკერილი მაისურები და ტრუსები საიმედოდ გვიცავდა მკბენარებისა და გამონაყარებისაგან.

...მიწის „ჩიჩქნას“ ბავშვობიდან დავეჩვიე და ნუ გაიკვირვებთ, დღესაც მივსდევ. ახლა სოფლებში თითო-ოროლა მეწველი საქონელი ჰყავთ და მის გამოსაკვებად ე.წ. „კომბიკორმს“ ყიდულობენ. ვიფიქრე, მოდი სოიოს დავთესავ, მოვიწევ და სიმინდთან და ხორბალთან ერთად შერევით ფრიად გაუმჯობესებულ და ყუათიან საკვებს შევქმნიმეთქი. მივდექ-მოვდექი... გაგიგონიათ? ვერც ერთ მაზარში მუხუდოს თესლი ვერ ვიშოვე. ვერც დასავლეთ საქართველოს მაზრებში მივაკვლიე სოიოს თესლს. არადა, ერთ დროს, სულ რაღაც 30-40 წლის წინათ ეს რაიონები – სამტრედია, ლანჩხუთი, ოზურგეთი განთქმული იყო სოიოსა და სიმინდის მოყვანით. რა მოხდა? ვიკითხე სათანადო ორგანოებში. გამოდის, ეს კულტურები სამჯერ ნაკლები ითესება ახლა, ვიდრე აღრე. ნეტავ რატომ? თავისუფლებამ გვაწყინა?... ბოლოს აბაშის მაზარში მივაკვლიე სოიოს თესლს, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით. დასავლეთ საქართველოს მეღელად მიჩნეულ აბაშაშიც კი სამ-ოთხჯერ შეუმცირებიათ ნათესთა ფართობი.

თუ არ დამძრახავთ, ჩემს სურვილებსაც ჩავურთავ. რა დიდსა და დაუძლეველ შრომას მოითხოვს მეაბრეშუმეობა, რომ არ ჩავკლათ ეს სასარგებლო საქმიანობა, ვიხსნათ სოფელი გაჭირვებისა და სიღარიბისაგან. იქნებ, წავართვათ დეპრესიას და უიმედობას ჩვენი დიასახლისები, რაც დოვლათს შემატებს სიდუხჭირეში მყოფ ჩვენს ქვეყანას.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲡᲙᲣᲠᲐᲕᲐ

გახარია მართლა ბოლი გამოდგა!

პოლიტიკური გრძოლის ველიდან გაქცეული ექს-პრემიერი გიორგი გახარია ამტკიცებს, რომ 2024 წლის არჩევნების შემდეგ, გიძინა ივანიშვილი ოპოზიციის ლიდერი გახდება. გახარია წინასაარჩევნო პროგნოზს აკეთებს და ამბობს, რომ „ოცნებას“ მოგების შანსი არ აქვს, ეს იცის ივანიშვილმა, თუმცა ამასთან შეგუება უჭირს“.

გახარია ამბობს, რომ ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნებით საკუთარ პარტიას შეურაცხყოფა მიაყენა, რადგან მათ უთხრა, რომ თუ არ გამოჩნდებოდა, ისე არჩევნებს ვერ მოიგებდნენ. მან ასევე ისაუბრა ქვეყანაში არსებულ კორუფციაზე და ისევ დაუინებით ამტკიცებს, რომ არსებობს 25 ოჯახი, რომლებიც სწორედ კორუფციის გზით გამდიდრდა. ექს-პრემიერის ამბიციური განცხადებები ამით არ დასრულებულა და ამტკიცებს, რომ არც „ოცნებასთან“ და არც „ნაციონალებთან“ თანამშრომლობას არ აპირებს. ხოლო თავის საპირწონე პოლიტიკურ ლიდერად გიძინა ივანიშვილს მიიჩნევს, ამიტომ დებატებში მხოლოდ მასთან დაჯდომა სურს.

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ გახარიას პოლიტიკური ამბიციები სინამდვილეს არ შეესაბამება, ის არაადეკვატურია და სჯობს იმ ლიდერებს გაეჯიბროს, რომლებიც რეიტინგით მისი თანასწორები არიან.

„მას აქვს გადაჭარბებული ამბიციები და რატომღაც ჰგონია, რომ მისი წონა არის ივანიშვილი, მისი წონა არის მელია, გვარამია. მას უნდა, ხალხს მოაჩვენოს, რომ ეპაექრება ივანიშვილს და ამიტომ აკეთებს ამ განცხადებებს. რეალურად, საზოგადოება ხვდება, რომ როგორც კი ერთი კვირა არ გააკეთებს განცხადებებს, თავისივე წევრებს აღარ ემახსოვრებათ უკვე. როგორც „ნაცმოძრაობა“ დაამთავრა გახარიამ, ისე ფიქრობს, რომ დამთავრდა „ოცნება“, – ასე პასუხობს გიორგი გახარიას განცხადებებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **გურამ მაჭარაშვილი.**

„რეალობასთან აცდენილი“ – ასე კი გახარიას თბილისის მერი **პახა პალაძე** პასუხობს, რომლისთვისაც მიუღებელია გახარიას მიერ გაკეთებული განცხადებები.

„პოლიტიკოსი რომ დღევანდელ მოცემულობაში ამ განცხადებას აკეთებს, ერთი რამ ცხადია, ან სერიოზული პრობლემები აქვს, ან რეალურად ვერ აღიქვამს, რა ხდება ქვეყანაში და რეალობასთან აცდენილია“, – ამბობს **პახა პალაძე.**

ანალიტიკოსი **გია აგაშიძე** ამბობს, რომ გიორგი გახარიას განცხადება დეზინფორმაციული, მანიპულაციური და არარეალისტურია და მისი გზავნილები რადიკალური ოპოზიციის სხვა ლიდერების განცხადებებისგან არაფრით განსხვავდება.

„შეუძლებელია 2%-იანი პარტიის ლიდერმა ამბიციურ გეგმებზე, ხელისუფლებაში მოსვლაზე, დამოუკიდებლად აქტიურობაზე და ა.შ. ისაუბროს. გახარიას თავის დროზე პრემიერმა ირაკლი კობახიძემ სამართლიანად მიაწება იარლიყი „ბოლი“. ეს არის დამბოლობელი პოლიტიკოსი, რომლის არც ერთი სიტყვის დაჯერება არ შეიძლება. შესაბამისად, წინასაარჩევნოდ რას მოიმოქმედებს, ვითომ დაიმუქრება რაღაცა კომპრომატების გამოქვეყნებით, ეს საინტერესო არ არის. უბრალოდ, არჩევნების დღე რაც უფრო მოახლოვდება, ურეიტინგო პოლიტიკოსები კიდევ უფრო მატყუარები გახდებიან. გახარიამ წარმოადგინოს რომელიმე საარჩევნო პროგრამა, რომლითაც ხალხი დაინტერესდება. ამიტომ მისი განცხადებები არა მხოლოდ არარეალისტურია, უკვე დასაცინიც კი გახდა. მან პოლიტიკა კი არა, საჯარო სივრცე უნდა დატოვოს“, – ამბობს **აგაშიძე.**

მისივე თქმით, გიორგი გახარიას რეიტინგიდან გამომდინარე, უმჯობესია და რეალისტური იქნება, დებატებში მისივე მსგავსი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსებს დაუჯდეს.

„ივანიშვილი რატომ უნდა დაუჯდეს 2%-იანი პარტიის ლიდერს? გახარია ჯობია დებატებში მისსავე საპირწონე პოლიტიკურ ლიდერებთან დაჯდეს. ასეთები არიან მამუკა ხაზარაძე, ნიკა გვარამია, ნიკა მელია და სხვები. ძალიან ბევრს ხმაურობენ ასეთი პოლიტიკური ლიდერები, მაგრამ ხალხზე და პოლიტიკაზე რეალური გავლენა არ აქვთ. იმის მიუხედავად, რომ პრემიერი იყო, ის არის მოღალატე, რომელმაც გუნდი გასაჭირში მიატოვა. გიძინა ივანიშვილთან დებატებში დაჯდომა იგივეა, რომელიმე თინეიჯერმა რომ თქვას ჩვენს საამაყო ქართველ ფეხბურთელებზე – მოვუგებო. გახარია უკვე ირონიის პერსონაჟი გახდა“, – ამბობს **აგაშიძე.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ გიორგი გახარიას აღქმები და პოლიტიკური ამბიციები რეალობას არ შეესაბამება. საყვარელიძე for.ge-სთნა ფიქრობს, რომ გახარიას ასეთი განცხადებები პოლიტიკურად არაფერს მისცემს.

„გახარიას განცხადება, რომ ივანიშვილი ჩემთან დებატებში დაჯდესო, უკვე წამგებიანი მოთხოვნაა. მან კარგად იცის, რომ ივანიშვილი ამაზე არ წავა და რაში სჭირდება ამის თქმა? აქვს გახარიას იმის გარანტია, რომ ამ ხალხისთვის ის რეალური ფალავანია? ის ხომ ერთ დროს ბრძოლის ველიდან გაიქცა? ის ხომ დიდხანს საერთოდ გამქრალი იყო და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა. ის, როგორც ფალავანი არ იქცევა და რატომ ჰგონია, რომ მას ასეთად ვინმე აღიქვამს? მით უფრო, რომ გახარიას აქვს მეტი პოზიტიური რამ სათქმელი. სხვა თუ არაფერი, პრემიერი იყო, კოვიდის დროს ქვეყანა გაიყვანა სამშვიდობოს. იმ გამოცდილებიდან რომ ილაპარაკოს და არა – მოდი ვიჭიდაოთ, უფრო არ სჯობს? ეს საბავშვო ბაღი რომ არ მოაწყოს და რეალურად ისაუბროს, რისი შანსები აქვს თავად, მე მგონი მეტრად ჯობია“, – ამბობს **საყვარელიძე.**

მისივე თქმით, როდესაც პოლიტიკური ლიდერი ამბობს, რომ ის არავისთან დადგება, მაშინ პოლიტიკაში არაფერი ესაქმება.

„პოლიტიკაში არ არის იმ ადამიანების ადგილი, რომელიც გამარჯვების გამო არ გადადგამს ნაბიჯს და საჭიროების მიხედვით არ იმოქმედებს. მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინი დასავლეთში გულზე არავის ეხატებოდა, მაგრამ საჭირო რომ გახდა, მის გვერდით დადგნენ. ვიღაცასთან დავდგები და ვიღაცასთან არა, – პოლიტიკაში მსგავსი მოთამაშეების ადგილი არ არის. ამიტომ არ მგონია, გახარიას თავად გააზრებული ჰქონდეს თავისი მოთხოვნების სიგრძე-სიგანე“, – ამბობს **საყვარელიძე.**

ლიკა ბერიკაშვილი

„ნაციონალური მოძრაობა“ 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის ზღვარზე!..

მას შემდეგ, რაც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ნიკა მელია გამოეყო, პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა ერთი ნაწილი აქტიურად განიხილავს, რომ ამ პარტიამ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში, 5%-იანი ბარიერი, შესაძლოა, ვერ გადალახოს. შესაბამისად, დიდია ალბათობა, რომ „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდეს. თუმცა, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ 5%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა არ შეექმნება, მთავარია რამდენად შეძლებს ორნიშნა პროცენტული მაჩვენებელი მიიღოს.

„ნაციონალური მოძრაობის“ საქმეც ისე მიდის, რომ შეიძლება მთაც პრობლემები შეექმნათ. ყველა სხვა პარტია თავადვე აღიარებს, რომ საკუთარი თავი იქამდე მიიყვანეს, რომ ბარიერის გადალახვის შანსიც არა აქვთ“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა მედიასთან საუბრისას.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ 5%-იან ბარიერს გადალავს, თუმცა, სხვა პარტიები რამდენად შეძლებენ ამას, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

„ნაცმოძრაობა“ უარეს მდგომარეობაშიც ყოფილა, თუნდაც 2012 წლის არჩევნებში, მაგრამ გადალახა 5%-იანი ბარიერი. ვფიქრობ, გადალახვას შეძლებს, თუმცა, გააჩნია რამდენით. შესაძლოა ეს არ იყოს ის, რაც მან აჩვენა წინა არჩევნებში, – 25%-დან 27%-მდე. როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობის“ მიერ დაწყებული სხვადასხვა ტიპის კამპანიები, – ფასები, საბავშვოს გათავისუფლების მოთხოვნა და ა.შ. – საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობს. ამან შესაძლოა მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ მისი მხარდაჭერა მცირდება. არჩევნების დროს, „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველზე იმუშავებს სულ მცირე 3-4 პარტია, რომლებიც მას გამოეყო. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, გაჭირვებით შეიძლება გადალახოს 5%-იანი ბარიერი, თუმცა, გადალახავს“, – განაცხადა **ანჯაფარიძემ.**

მისი თქმით, ამ ეტაპზე, კონკრეტული ოპოზიციური პარტიების შესაძლო გაერთიანების კონტურები არ იკვეთება.

„5%-იანი ბარიერის გადალახვა სხვა ოპოზიციურ პარტიებს გარანტირებული არ აქვთ. მათი არათანმიმდევრული, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები ხელს უწყობს ამას. ასევე, მათ რიგებში არ ჩანს რეალური ლიდერი, რომელსაც საზოგადოება მიიღებს, როგორც ლიდერს. ვიცით, არჩევანის გაკეთების დროს დიდ როლს თამაშობს პიროვნული ფაქტორი.

ოპოზიციური პარტიების გაერთიანების პროცესი საუბრების იქით არ წასულა. არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე თვეში, დათანხმდნენ მტკივნეულ გადაწყვეტილებას – საკუთარი პოლიტიკური იდენტობა დათმონ, ოღონდ პარლამენტში ერთ-ორ მანდატს გამორჩნენ. თუმცა, ჯერჯერობით ამის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. ახლა პოლიტიკური პარტიები არიან აქტიური თვითშეფასების პროცესში, რომელიც შემდეგ გამოკვეთს მათ გადაწყვეტილებას, თუ რა გზით წავლენ“, – განაცხადა **ანჯაფარიძემ.**

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაგირაძე** ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არა მხოლოდ 5%-იან ბარიერს გადალახავს, მან შესაძლოა ორნიშნა პროცენტული მაჩვენებელიც კი მიიღოს. მისი შეფასებით, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით, 5%-იანი ბარიერის გადალახვის მეტი შანსი მელია-გვარამიას ახალ პარტიას აქვს.

„თუ ვინმეს გარანტირებულად აქვს 5%-იანი ბარიერის გადალახვა, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა.“ საუბარია, მიღებული პროცენტი ორნიშნა იქნება თუ არა და ვფიქრობ, არც ორნიშნას მიღებაა პრობლემა ამ პარტიისთვის. გარკვეული შანსები აქვს სამ პოლიტიკურ ძალას ოპოზიციიდან: მელია-გვარამიას, გახარიას და „ლელოს“. ყველაზე რეალური შანსი, 5%-იანი ბარიერი გადალახოს, უფრო მელია-გვარამიას პარტიას აქვს, შემდეგ მოდის გახარია და ბოლოს – „ლელო“. გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ვინ იქნება მელია-გვარამიას გუნდში და როგორი იქნება საარჩევნო პროგრამა. ყველაზე ახლოს ისინი დგანან 5%-იანი ბარიერის დაძლევასთან“, – განაცხადა **ძაგირაძემ.**

იგი მიმდინარე წლის არჩევნებისთვის, ოპოზიციური პარტიების გაერთიანების აუცილებლობაზე საუბრობს:

„ოპოზიციური პარტიების ინტერესებში უნდა შედიოდეს გაერთიანება, აუცილებელიც კი არის ეს. ყველაზე ლოგიკური იქნებოდა, მელია-გვარამიას პარტიას დაემატოს ხოშტარია და „გირჩი-ჯაფარიძე“. ხოლო, მეორე მხარეს არის გახარია, ხაზარაძე, დოლიძე და ელისაშვილი. თუ ეს ოთხეული გაერთიანდება, მაშინ საკმაოდ სერიოზული ჯგუფი იქნება. მათ შორის ლიდერი პარტიებია გახარიას და მელიას პოლიტიკური ჯგუფები“, – განაცხადა **ვახტანგ ძაგირაძემ.**

ნიკო ჩოხელი

ირაკლი ღარიბაშვილი:

უნდა შევძლოთ ჩვენი ინტერესების დაცვა!

„ლგბტ პროპაგანდა დღეს პრობლემაა. შეიძლება, ვიღაცამ მკითხოს, ჩვენს ქვეყანაში ეს ხომ არ ხდება. რატომ არ ხდება? ყველგან ხდება. დღეს არ ხდება, ხვალ შეიძლება მოხდეს. 10 წლის წინ, გუნდმა ერთი მხრივ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, მეორე მხრივ წარვადგინეთ ინიციატივა, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილიყო ქორწინების დეფინიცია, რაც მოგვიანებით მოხდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, მთელს ევროპას მოეფინებოდა, თითქმის ორგანიზებულად მიიღეს, დაეკანონეს ერთნაირსქესიანი ქორწინება. მაშინ არ იყო ეს აქტუალური. მახსოვს, მაშინ გამოვიდნენ და თქვეს, რა საჭიროა ქორწინების განსაზღვრა, ისედაც გარკვეულიაო.

არ არის გარკვეული, არაფერია გარკვეული. დღეს რაღაც რომ არის გარკვეული, ხვალ შესაძლოა, შეიცვალოს. ამიტომ საჭიროა, ჩვენი ინტერესების დაცვა. ნუ გერიდებათ, ამაზე საუბარი. ჩვენ გვაქვს უფლება, პატარა, თავმოყვარე, ძლიერი, ამაყი ერი ვართ. უნდა შევძლოთ ჩვენი ინტერესების დაცვა.

ლგბტ პროპაგანდა არის ზღვარგადასული. სამწუხაროა, თუ არ ვცდები, ამერიკაში გამოაცხადეს დღევანდელი დღე ტრანსგენდერის დღედ. კატასტროფა ხდება. სკოლებში, ბაღებში მიჰყავთ ტრანსგენდერები და ეუბნებიან პატარა ბავშვებს, რომ შეუძლიათ სქესი შეიცვალონ. თქვენ მოგწონთ ეს? გვარამიას ჰკითხეთ, მოსწონს ეს ტრანსგენდერის შესახებ კამპანია? ამიტომ, აუცილებელია, რომ მოხდეს ამ საკითხის დარეგულირება. ეს თემა უნდა დაიხუროს საზოგადოებაში. ეს არის საფრთხის შემცველი ჩვენი მომავალი თაობებისთვის. ჩვენ ვართ დღეს ხელისუფლება, მაგრამ უნდა დავაზღვიოთ გარკვეული რისკები, რომელიც შესაძლოა, მოვიდეს რამდენიმე წლის შემდეგ“, – განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

300 მოსამართლეს ვერ მოერევა ვიღაც „ენჯეო“!

300 მოსამართლეს ვერ მოერევა ვიღაც „ენჯეო“, ეს ადამიანები საკუთარ ბედს თავად გადაწყვეტენ, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, ადრე არსებული მახინჯი სისტემა ჩაგრავდა როგორც სასამართლოს, ასევე პროკურატურას, პოლიციას და სხვა ინსტიტუტებს.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, მურუსიძე-ჩინჩალაძე სწორედ ამ სისტემის მსხვერპლნი იყვნენ.

„რას ერჩით მურუსიძეს? ეს არის ჩვეულებრივი კამპანია. ერთი რამ დაიმახსოვრეთ, იყო მახინჯი სისტემა. მახინჯი, სისტემა ჩაგრავდა როგორც სასამართლოს, ასევე პროკურატურას, პოლიციას და ასე შემდეგ. მთელი ეს ინსტიტუტები, პრაქტიკულად, გაუქმებული იყო. ბატონი მურუსიძე და ბატონი ჩინჩალაძე ახსენეთ, მაშინ ვინ შეეკითხებოდა ამ ადამიანებს. იყო საშინელი ზეწოლა... ესენი იყვნენ სისტემის მსხვერპლი. უფრო მეტსაც გეტყვით, მას შემდეგ ამ ადამიანებმა სრული დამოუკიდებლობა აჩვენეს. მთელმა მოსამართლეთა დიდმა კორპუსმა, 300-მა მოსამართლემ აირჩია ეს ადამიანები. მათ თავად გადაწყვიტეს, ჩვენ არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია ამ პროცესში.

თქვენი ფავორიტი „ენჯეოები“, რომლებიც ემსახურებიან არა ქართულ, არამედ უცხო ქვეყნების ინტერესებს, მაშინდელი „ენჯეოები“ პირდაპირ, დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლება სასამართლოს საქმიანობაში არ ჩარეულიყო. მახსოვს, აირჩიეს ბატონი მურუსიძე, თუ არ ვცდები ქალბატონმა გიგაურმა შეხვედრაც კი გამართა მასთან და ზარ-ზეიმით აღინიშნა ეს პროცესი. რატომ? მათი მოლოდინი იყო, რომ სასამართლო თავისუფალი არ გახდებოდა. საბედნიეროდ, მოსამართლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაიჭირა სწორი, სახელმწიფოებრივი, პატრიოტული პოზიცია. მინდა, მათ მადლობა გადავუხადო და გვერდში დგომა აღვუთქვა თითოეულ მოსამართლეს, როგორც რიგითმა მოქალაქემ და არა როგორც პარტიის წარმომადგენელმა ამ სწორი, სახელმწიფოებრივი, პატრიოტული პოზიციისთვის. 300 მოსამართლეს ვერ მოერევა ვიღაც „ენჯეო“, ეს ადამიანები საკუთარ ბედს თავად გადაწყვეტენ“...

დაუვიწყარი იოსებ კეჭაყმაძის ბენეფისი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 26 მარტს გაიმართა ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის შოთა რუსთაველის, ზაქარია ფალიაშვილის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატის იოსებ კეჭაყმაძის საიუბილეო საღამო, რომელსაც ესწრებოდა კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი. საგუნდო მუსიკის საღამო გაიხსნა საქართველოს ჰიმნით.

საიუბილეო საღამოს უძღვებოდა თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე.

იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედებით მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა მუსიკოლოგმა, პროფესორმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ მანანა ახმეტელმა, რომელმაც სიტყვის დასასრულს ხაზგასმით თქვა, რომ გამოჩენილმა კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყმაძემ, ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ მუსიკა დაამუშავა და გარდაქმნა ჰიმნად, რომელმაც გაიმარჯვა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე და 1998 წელს სახელმწიფო ჰიმნად დამტკიცდა.

საიუბილეო საღამოში მონაწილეობდნენ:

ანსამბლი „მძლევარი“, ბათუმის ქალთა აკადემიური კამერული გუნდი, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის საგუნდო კაპელა, ნიკო სულხანიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა, თბილისის ბავშვთა კაპელა, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კაპელა, სამების კათედრალის საპატრიარქო-სახელმწიფო კამერული გუნდი, გორის ქალთა კამერული გუნდი, თბილისის ქალთა გუნდი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა გუნდი.

საგუნდო მუსიკის კონცერტის დასრულებამდე სცენაზე გამოვიდა თეა წულუკიანი, რომელმაც გააჟღერა მთავრობის გადაწყვეტილება, რომ ქუთაისის კამერულ გუნდს მიენიჭა იოსებ კეჭაყმაძის სახელი. ნიკოლოზ წულუკიძემ სცენაზე იხმო ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა მთავრობას კამერული გუნდისთვის იოსებ კეჭაყმაძის სახელის მინიჭების გამო და დასძინა, რომ ქუთაისის ოპერის რესტავრაციის დასრულების შემდეგ, მთელ დარბაზს გეპატიჟებით ქუთაისის კამერული გუნდის კონცერტზეო!..

საიუბილეო საღამო დასრულდა **ქუთაისის იოსებ კეჭაყმაძის სახელობის კამერული გუნდის** (ხელმძღვანელი ირინა ლომინაძე) მიერ შესრულებული სიმღერით „ქუთაისური სერენადა“ და „ვინ რა წაიღო ამ ქვეყნით“ და



საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ **„ბასიანის“** (სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი დონაძე) – მრავალჟამიერით.

„ბასიანთან“ ერთად კონცერტში მონაწილე ყველა გუნდმა იმღერა სიცოცხლის უკვდავი ჰიმნი „მრავალჟამიერი“...

ნანა ჭიჭინაძე

ლანჩხუთის სოფლებს ანკარა სასმელი წყალი ექნებათ!

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აკეთის თემის სოფლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს.

პროექტით გათვალისწინებულია: წყალმომარაგების ქსელის, სატუმბი სადგურის, რეზერვუარებისა და ყველა სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა და მისი დასრულება 2024 წლის მაისშია დაგეგმილი. შედეგად, აკეთის, ჯურუყვეთისა და ღრმაღელეს 1990 მენეფიციარი 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

გურიის რეგიონში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის კუთხით 7 პროექტი ხორციელდება. ამ პროექტებისთვის სახელმწიფო დაფინანსებით ჯამურად 115 მლნ. ლარი იხარჯება.

„25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“...

ოზურგეთის ტექნოპარკში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო პროგრამის „25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ გურიაში 3 გამარჯვებული გამოვლინდა.

მონაწილეებს გამარჯვება გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ ლევან დარსალიამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ მიულოცეს.

საგრანტო პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი ინოვაციური და ტექნოლოგიური ეკოსისტემის გაძლიერებას; ინოვაციური პროდუქტების, მომსახურების, ტექნოლოგიებისა და პროცესების შემუშავება-ათვისებისა და კომერციალიზაციის გზით ინოვაციური და ტექნოლოგიური სტარტაპების შექმნას.

გორის სოფელ საქაშეთის დევნილთა დასახლებაში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის დევნილთა დასახლებაში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება. სარეაბილიტაციო მონაკვეთის სიგრძე 2 620 მეტრია. გზის განახლება ყველა ქუჩაზეა დაგეგმილი.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და გორის მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1 499 498 ლარია.

პროექტის მიხედვით მოხდება როგორც ტრანსპორტის სავალი ნაწილის, ასევე სანიაღვრე არხების მოწყობა.

სამუშაოების დასრულების შემდეგ დევნილებს დაზიანებული გზის საფარით გამოწვეული პრობლემები აღარ შეაწუხებთ.

◎ გონთდაბნელება საქართველოში

ვისაც არ ეზეიმება

ამ დღეებში, როცა ერი და მერი ქართველ ფეხბურთელთა მონატრებულ ტრიუმფს ზეიმობს, როგორც ყოველთვის, მოიძებნებიან მოღმით დაბრმავებული თანამემამულენი, გულზე ლახვარივით რომ ესობათ თვისტომთა უმაგალითო წარმატება და არ უწყიან, რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ.

ჯერ იყო და ნაციონალური კოშმარის შემოქმედთა ყმაწვილმა ადეპტებმა რესპუბლიკის მოედანზე გამართულ საერთო-სახალხო დღესასწაულზე შეირცხვინეს ცხვირ-პირი, როცა გონებადაბინდულ ზემდგომთა „ზაკაზი“ შეასრულეს და საამაყო მიჭებთან სიტყვით გამოსვლისას პრემიერ კობახიძეს გაუმასპინძლდნენ სტვენითა და როზნერის „შპარგალკით“ სისინით, ხოლო მეორე დღეს მთლად კუჭი აიშალეს, როგორ თუ უეფამ ჯვაროსანთა მიღწევის თანაავტორად მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან და გულშემატკივრებთან ერთად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები მოიხსენიაო.

როგორც სჩვევია, ამჯერად საძულველ პოლიტიკურ ოპონენტ ლევან კობიაშვილის ბოსტანში კენჭის სროლა „ლელოს“ ლიდერმა **მამუკა ხაზარაძემ** ითავა.

ჯერ ის ვიკითხოთ – ვისი ნებართვით მიითვისა შეჭირვებული მოსახლეობის უმოწყალოდ მყვლეფვამა ყაჩაღმა თაღლით-ბანკირმა საკუთარი პარტიისთვის სპორტული საზოგადოებისთვის სათაყვანებელი გაზეთის სახელი? ხომ არ აჯობებს, ამ გესლის მნთხეველთა სინდიკატს ამიერიდან „ლელოს“ ნაცვლად „გველოდ“ მოვიხსენიებდეთ?

ამჯერად აფეთქებული „ფორდ-მუსტანგის“ ხელ-ტვინ-მოცარული „შოფერსა“ და ეროვნულ გმირ მერაბ კოსტავასკენ სკამის ფეხით გაწეულ-გაქაჩულ დღემდე სულისკვეთებით „კამსამოლას“ ბოლომდე არ გავაშიშვლებ და, მისგან განსხვავებით, ცალმხრივობის ნაცვლად, მადლიერების ნიშნად კეთილ საქმეებსაც ჩამოვუთვლი, ხანდახან რომ გამოურევს ხოლმე თავისი უკეთურობის შესანიღბავად: დიახ, ნამდვილად აღსანიშნავია „თიბისი ბანკისა“ და რაგბის კავშირის თანამშრომლობა, ცხენოსნობისა და ლისის იპოდრომის განვითარებაში შეტანილი წვლილი, სულ ბოლოს კი წალენჯიხელ ბავშვთა გახარება „იუვენტუსის“ აკადემიის გახსნით. ასე რომ, ყველა როდია უმადური.

